# ალია

რეკლამა „ალიაში“
5 77 444 442

N174/3104/ 26 ნოემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რა განსხვავებაა „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ რეზოლუციებში და რა მოჰყვება მათ მიღებას



## რატომ ცვლის განათლების სამინისტრო ბაგა-ბაღებში აღზრდის სისტემას?

და რა უნდოდა პრემიერს განხილვაზე?



## გიორგი გუგავა: „დიახ, თითოეული დეპუტატი დამატებით იღებს 10 ათას დოლარს თვეში“

რას პასუხობენ გუგავას დეპუტატები ქანთარია და ლორთქიფანიძე და „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი

## რას შეჰპირდა დავით უსუფაშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციას?

## ვახტანგ მაისაია: „ჩემი აზრით, უპრიანია, გასაღები უშიშროების საბჭოს გადაეცეს“

## რის გამო მოხსნიან ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას?

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

## ემზარ კვიციანის ადვოკატი პეტრე მამრაძეს სასამართლოში უჩივის

რა განუცხადა მამრაძემ „ალიას“

## „ბურჯანაძე, ზაქარეიშვილი, ვოლსკი — თბილისში გამზადებული მეხუთე კოლონაა“



მიხეილ სააკაშვილმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე საუბრისას განაცხადა, რომ რუსეთი დაშლის საფრთხის წინაშეა და საქართველო ამ იმპერიას საფლავში არ უნდა ჩაჰყვეს:

„რუსეთი დაშლის საფრთხის წინაშეა ბევრი კრიტერიუმით, ამ პირობებში როგორ შეიძლება საქართველო საფლავში ჩაჰყვეს ამ იმპერიას? არ უნდა მივყვეთ ამ მოღალატეების ლაყბობას. 2008 წელს 100-ათასიანი არმია მოდიოდა თბილისზე. უკრაინაში და მთელ სამხრეთში 7 500 კაცი ჰყავთ შეყვანილი.

ის, რომ მთელი მსოფლიო დაგვიდგა, ის, რომ რიგი დადგა ლიდერების, ის რომ ქართველი ხალხი დადგა გვერდით, ამან გადაარჩინა ქართული სახელმწიფოებრიობა, დღეს თბილისში არის ქეთი დოლიძე, ბურჯანაძე, „კაგებეს“ გაცხადებული აგენტი და საქართველოს მთავრობის წევრი ჰქვია, ზაქარეიშვილი. დღეს არის ვოლსკი, ფორმიანი ჩეკისტი, გვყავს გამზადებული მეხუთე კოლონა თბილისში. ეს ხალხი ყველანი არიან პირდაპირ მტრის ინტერესების მსახურები. რუსეთი გვეუბნება, გაწიეთ გვერდით დასავლეთი, შეწყვიტეთ განვითარებაო“, – განაცხადა სააკაშვილმა. (ნიუპოსტი)



## „ზოგიერთი კითხვა ისეთი გამომწვევი იყო, რომელსაც მე ჩემს კოლეგას არ ვაკადრებ“

პარლამენტში ე.წ. მოსმენების კანონპროექტების განხილვა მიმდინარეობდა. განხილვის დროს თინა ხიდაშელმა გედევან ფოფხაძეს გარკვეული კითხვები დაუსვა. ფოფხაძემ კი აღნიშნა, რომ კანონპროექტების განხილვისას, მან გამომწვევი კითხვები მოისმინა:

„ზოგიერთი კითხვა ისეთი გამომწვევი იყო, რომელსაც მე ჩემს კოლეგას არ ვაკადრებ. ვფიქრობ, კორექტულობის ნორმები გარკვეულწილად უნდა დავიცვათ. მართებულად არ მიმაჩნია ქვეტექსტებით იმაზე მინიშნება, რომ ვინმეზე ნაკლები პატრიოტი ვარ. იმის გამო, რომ, ჩემი აზრით, ერთ-ერთი გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში უნდა იყოს, რატომ უნდა მიმანიშნო ქვეტექსტურად, რომ იმაზე უარესი ვარ, ვიდრე შენ“, – განაცხადა ფოფხაძემ. (ნიუპოსტი)

## თავდაცვის მაღალჩინოსნების ადვოკატებს გრიფმოხსნილი მასალები გადაეცათ




თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების ადვოკატებს პროკურატურაში საიდუმლო გრიფმოხსნილი მასალები გადაეცათ. ადვოკატ ლევან სამუშიას განცხადებით, საქმის მასალების სრულად გაცნობის შემდეგ ადვოკატები განცხადებას გააკეთებენ.

კიდევ ერთი ადვოკატის, სოსო ბარათაშვილის თქმით, პროკურატურამ საქმის მასალების დანარჩენი ნაწილის დაცვის მხარისთვის გადაცემაზე კვლავ უარი თქვა, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს ეწინააღმდეგება. მისივე თქმით, მასალების დამუშავებისა და შესწავლისთვის დაცვის მხარეს დრო საკმარისად აქვს. თუმცა, მისი თქმით, წინასასამართლო სხდომა 11 დეკემბერს არის ჩანიშნული და საკითხავია, რამდენად მოასწრებენ ადვოკატები ექსპერტიზების ჩატარებას და მტკიცებულებების მოგროვებას, რათა განახორციელონ სრულყოფილი დაცვა.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმის მასალების იმ ნაწილს, რომელსაც გრიფი ჯერ კიდევ ადევს, სოსო ბარათაშვილის თქმით, ადვოკატებს გადაეცათ ჩამონათვალი იმ მასალების, რომელსაც გრიფი ადევს, ასევე იმ მასალების, რომელსაც არ ადევს. როგორც ადვოკატი აცხადებს, შესწავლის შემდეგ ექნება საშუალება შეაფასოს, საჭიროებდა თუ არა მასალების ნაწილი გრიფის არმოხსნას. (ნიუპოსტი)



## საკრებულომ ტერიტორიების გამოყენების რეგულირების წესები შეცვალა

თბილისის საკრებულომ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში ცვლილებები შეიტანა. ცვლილებებს მხარი 35-მა დეპუტატმა დაუჭირა. წინააღმდეგი არავინ იყო, არც თავი არავის შეუკავებია.

მერიის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის ოთარ ნემსაძის განცხადებით, ამ ცვლილებებით განაშენიანების რეგულირების გეგმას აღარ შეითანხმებს თბილისის მერი, არამედ დაამტკიცებს საკრებულო, შესაბამისად, განაშენიანების გეგმები მერიიდან საკრებულოში დასამტკიცებლად შევა და საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულო მიიღებს. კიდევ ერთი ცვლილებით „სარეკრეაციო ზონა 1“-ში საავტომობილო გზების გაყვანა შეუძლებელი იქნება და მხოლოდ საფეხმავლო გზებისა და ბილიკების გაკეთება იქნება შესაძლებელი.

ცვლილებები ასევე შეეხო სატრანსპორტო ზონაში ჯიხურების მშენებლობას. ჯიხურების მშენებლობა სატრანსპორტო ზონაში მიმდინარეობს. ახალი რეგულაცია სატრანსპორტო ზონაში მხოლოდ 6 კვადრატული მეტრი ფართობის ჯიხურების განთავსებას ითვალისწინებს. ასევე, სატრანსპორტო ზონაში აიკრძალება ავტომობილების ტროტუარზე პარკირება და დასაშვები იქნება მხოლოდ მიწისქვეშა პარკირების მოწყობა.

მისივე განცხადებით, შენობების მშენებლობის დროს სიმაღლის განმსაზღვრელი იგრეკი ხშირად იცვლებოდა ინდივიდუალური მომართვის შედეგად. კერძო პირებისა და კომპანიებისგან იყო მოთხოვნა მისი შეცვლის შესახებ. მერიის ინიციატივით, შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი იგრეკის შეცვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში და არა ინდივიდუალური მოთხოვნის შემთხვევაში. ნემსაძემ ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ცვლილებების ხელმოწერის შემდეგ განაშენიანების რეგულირების ახალი წესები შევა ძალაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საავტომობილო გზებზე შეზღუდვები ისევ მოქმედებს



საქართველოს საავტომობილო გზებზე შეზღუდვები ისევ მოქმედებს. საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადებით, ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის კმ36-კმ50 (ვერონა-თეთრიწყლები) მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური (ფოსტა)-კობის მონაკვეთზე კი ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის კმ134-კმ135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) ავტოტრანსპორტის მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით.

გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. (ინტერპრესნიუსი)

## სააკაშვილს შესაძლოა, კიდევ ერთ ბრალი წაუყენონ



საქართველოს მთავარი პროკურატურა 2008 წლის აგვისტოს ომის ფაქტებს იძიებს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მთავარმა პროკურატურამ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოფილი პირადი ოპერატორი უკვე დაკითხა. გამოძიება 2008 წლის პერიოდში გადაღებულ მასალებს ეძებს. სააკაშვილის ადვოკატის განცხადებით, პროკურატურა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის საქმეს იძიებს. მისივე ინფორმაციით, შესაძლოა, საქმის მთავარი ფიგურანტი ქვეყნის მესამე პრეზიდენტი გახდეს. ჯერჯერობით უცნობია, 2008 წელს გადაღებულ რომელ კადრებს ეძებს პროკურატურა. ოთარ კახიძის თქმით, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დაინტერესებული იყო, გამოკვეთილიყო მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში. (პირველი რადიო)

## „უსაფრთხოება არ არის ის თემა, რაზეც ექსპერიმენტები უნდა ვატაროთ“



პარლამენტში ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით, დეპუტატებმა ეკა ბესელიას პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვეს. კანონმდებლები იმაზე მსჯელობდნენ, რას ნიშნავს პირადი ცხოვრება და უნდა ითვლებოდეს თუ არა სახელმწიფო საიდუმლოებად მიყურადებით მოპოვებული მასალა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთი კანონპროექტის ავტორმა, ეკა ბესელიამ განცხადება გააკეთა:

„აქ არის საუბარი, არ ვიცი, რა მასშტაბის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული დოკუმენტების შენახვაზე, ვერ უზრუნველყოფენ ამას და კიდევ რა არგუმენტი მოვიყვანოთ? ის, რომ ჩვენ ექსპერიმენტი გვინდა ჩავატაროთ საქართველოზე, ასეთი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, ის რაც არსად არ არსებობს, ის გამოვიგონოთ? შეიძლება სხვა საკითხებზე გვქონდეს ასეთი ნოვაციები, მაგრამ არა მგონია, უსაფრთხოების თემა, ის თემა იყოს, რომელზეც ექსპერიმენტები ახლა უნდა ვატაროთ“, – აცხადებს ბესელია. (ნიუპოსტი)

## „რუსეთ-აფხაზეთის შეთანხმება საქართველოს სუვერენიტეტს არღვევს“



რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ შეთანხმებას რეგიონის სტაბილურობისთვის ზიანის მომტანს უწოდებს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ფედერიკა მოგერინი:

„რუსეთსა და აფხაზეთს შორის მანამდე გაფორმებული შეთანხმებების მსგავსად, ეს შეთანხმებაც არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რუსეთის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების ჩათვლით“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# რა განსხვავებაა „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ რეზოლუციებში და რა მოჰყვება მათ მიღებას

**25 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში დიდი გაწევ-გამოწევა იყო — როგორც იქნა, უმრავლესობამ და უმცირესობამ დაიწყეს მუშაობა რეზოლუციის პროექტზე, რომლის სახელწოდებაცაა „რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის მცდელობა“. პროექტი „ნაციონალურმა“ მოძრაობამ მოამზადა, რომლის მიხედვითაც პარლამენტმა მთავრობას ანექსიის წინააღმდეგ კონკრეტული რეკომენდაციებით უნდა მიმართოს. პროექტის შინაარსი ასეთია: საქართველო უნდა შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, უნდა გაუქმდეს აბაშიძე-კარასინის ფორმატი, ჩვენმა დიპლომატიურმა კორპუსმა და ხელისუფლებამ უნდა მოამზადოს სამართლებრივი საფუძვლები იმისთვის, რომ საქართველომ დამატებითი საქმეების აღძვრა მოახდინოს საერთაშორისო სასამართლოებში. როგორც ამბობენ, მმართველ გუნდშიც შემუშავდა რეზოლუციის ალტერნატიული პროექტი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მომზადებული ვარიანტისგან თითქმის არ განსხვავდება. „ნაციონალ“ გიორგი კანდელაკის განცხადებით, აღნიშნული რეზოლუცია იქნება ტესტი პარლამენტის წევრებისთვის, სურთ მათ ემსახურონ საქართველოს თუ სურთ, იყვნენ ბიძინა ივანიშვილის მონები. რასთან გვაქვს კონკრეტულად საქმე, ამაზე „ალიას“ პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ესაუბრება:**

**— ბატონო რამაზ, „ნაციონალების“ დავთრების მიხედვით, სანქციები უნდა დავუწესოთ რუსეთს. რა სანქციები შეიძლება დავუწესოთ?**

– „ნაციონალებს“ არც კი რცხვენიათ, რომ ბაძავენ „ქართულ ოცნებას“, უფრო სწორად, უმრავლესობის ზოგიერთ წევრს. თუ არ ახსოვთ, მე შევახსენებ, 1990-იან წლებში როგორ მოითავა ზოგიერთმა ეგ ეტაპი, როდესაც სამტრედიის რკინიგზას კეტავდა და სანქციებს უწესებდა რუსეთს.

**— მახსოვს, ამას აკეთებდა თვით დიდი ზვიად ძიძიგური. სანქციებს რომ დავუწესებთ, შედეგი რა იქნება, რას მივიღებთ?**

– ახლა ლაპარაკი ამ სანქციებზე საქართველოს მხრიდან ძალიან არასერიოზული იქნება, როგორც იყო სამტრედიის რკინიგზის გადაკეტვა. საერთოდ, სანქციების ერთადერთი მიზანია, აიძულო რუსეთი, აღარ მოიქცეს ისე, როგორც ახლა იქცევა. მსგავსი უნარი არ აღმოაჩნდა ევროპულ და ამერიკულ სანქციებსაც კი... როგორც ვხედავთ, რუსეთი ჯერჯერობით უკან არ იხევს. არადა, ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. ახლა ქართულმა ეკონომიკამ რა ზეწოლა შეიძლება განახორციელოს ისეთი, რომ რაიმე წვლილი შეიტანოს ამ პროცესში? მე მეეჭვება ასეთი რამ გაგვაჩნდეს.



დღეს ევროპის ძირითადი მიმართულება არის რაციონალიზმი, ევროპელებს საერთოდ არ ესმით ჩვენი არარაციონალიზმი. თუ ეს კამპანია განხორციელდა, ეს ნამდვილად იქნება არარაციონალური არა საქმის გამო, არამედ მხოლოდ იქიდან გამომდინარე – მეც მინდა რუსეთის წინააღმდეგ რაიმე გავაკეთო. რეალურად რუსეთისთვის ამას ექნება თუ არა მნიშვნელობა, ამაზე აღარ არის ლაპარაკი. აქ არის მეორე მხარეც, რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებში დასავლეთთან ერთად კამპანიაში მიიღო თუ არა მონაწილეობა აზერბაიჯანმა? არ მიულია, იმიტომ, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლებას პასუხისმგებლობა აქვს საკუთარი ხალხის წინაშე. „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო“, მხოლოდ ამ პრინციპით, ილჰამ ალიევი არ მოქმედებს, ჩვენ კი საკუთარი ქვეყნის დაზარალებაზე განზრახ მივდივართ, რათა კუსავით ფეხი გამოვყოთ. ამ ტიპის სანქციებით დასავლეთთან შეერთება მოიტანს ზუსტად იმას, რაც მოიტანა 2008 წელს, რუსეთი, სადაც დასავლეთს ვერ მოერევა, იქ ჯოხს გადატეხს უნაგირზე, ანუ საქართველოზე.

**— შეიძლება პარლამენტმა მიიღოს რაღაც განცხადების მსგავსი, რომელსაც რატომღაც, რეზოლუციას ეძახიან. ამის შემდეგ უნდა დასხდნენ ეკონომისტები, იურისტები, ქვეყნის მმართველები და დაადგინონ, რა ტიპის სანქციები უნდა დავუწესოთ ჩვენ რუსეთს. რა შეიძლება გაკეთდეს?**

– ჩვენ გვაქვს ეკონომიკური საკითხი, რომელიც იყოფა ორ პუნქტად. ან არ უნდა გავცეთ, ან არ უნდა მივიღოთ. დღეს რუსეთიდან საკმაოდ დიდძალი პროდუქცია შემოდის, რომელიც ჩვენს მოსახლეობას სჭირდება. კი ბატონო, გადავკეტოთ საზღვარი, აღარ შემოვიტანოთ რუსული პროდუქცია. მეორე, – ჩვენ აღარ უნდა გავიტანოთ რუსეთში არაფერი, უნდა გავაუქმოთ ყველაფერი ის, რაზეც ცოტა ხნის წინ ვოცნებობდით. ახლა ამოცანა გვეკითხება, ამ შემთხვევაში ვინ ზარალდება ყველაზე მეტად? რა თქმა უნდა ზარალდება ისევ საქართველო, გამოდის, ჩვენ რუსეთს კი არა, საკუთარ თავს ვუწესებთ სანქციებს. ახლა ვეკითხები ამ პოლიტიკოსებს, რა ლოგიკით წამოაყენეს საერთოდ ეს საკითხი?

**— ეს არ არის ერთადერთი საკითხი, რომელიც მათ წამოაყენეს, აქვე ითხოვენ აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაუქმებას... შეიძლება რაღაც თვალსაზრისით ამ ფორმატმა მართლაც ამოწურა თავისი რესურსი, მაგრამ რას მოგვიტანს ამ ეტაპზე?**

– თუ მსოფლიო ისტორიას გადავხედავთ, მთელი ქვეყნები ერთმანეთთან დიპლომატიურ მაგიდას მაინც ინარჩუნებდნენ, ჩვენ დღეს გვაქვს მხოლოდ კარასინი-აბაშიძის ფორმატი და ჟენევის მოლაპარაკებები. ეს ორი კინკილა ფორმატიც რომ გავაუქმოთ, საერთოდ, რა დონეზე უნდა ველაპარაკოთ რუსეთს? ამით ისევ მსოფლიოს გავაკვირვებთ, რომ ისევ უარს ვამბობთ იმაზე, რაც ჩვენს ინტერესებშია. ჩვენ რომ გვქონდეს რუსეთის ტერიტორიები ოკუპირებული და უარს ვამბობდეთ, ეს გასაგები იქნებოდა. საერთოდ, ოკუპანტი იგებს მაშინ, როცა დიპლომატია ჩერდება. თუ ჩვენ ვართ ოკუპირებულნი, რატომ უნდა ვთქვათ მოლაპარაკებაზე უარი?

**— ბოლოს და ბოლოს, აღარ არის დრო, რომ მოლაპარაკებების დონე ცოტა ამაღლდეს?**

– შეიძლება დონემ მართლაც უნდა აიწიოს, მაგრამ, როგორც ვატყობ, თვითონ რუსებს არ უნდათ ამაზე წამოსვლა. თუ დიპლომატიური კავშირები იქნება სუსტი, ეს ისევ პუტინის წისქვილზე ასხამს წყალს. ძალიან ძნელია რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრა, არ არის ისე, მოსკოვში ჩახვალ, აეროპორტიდან დარეკავ და ეგრევე მოცვივდებიან. ამას უნდა სერიოზული მომზადება, რაც დღემდე ვერ მოხერხდა. ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ვიქნებოდი უფრო იმ მხრივ, რომ დღეს არ იყენებენ არაოფიციალურ და არაფორმალურ გზებს, როგორც რუსეთში, ასევე აფხაზეთში. დღეს ჩვენ ყველაზე დიდი დიასპორა გვყავს რუსეთში, ამ ხალხს საერთოდ არ ვიყენებთ, რათა გავლენა მოვახდინოთ რუსულ პოლიტიკურ წრეებზე. არის კიდევ მეორე პრობლემა, რის შესახებაც შიგადაშიგ ითქმება ხოლმე, დავუშვათ, ჩვენი უმაღლესი ჩინოსნები შეხვდნენ რუსეთის ხელმძღვანელობას, რას დადებენ მაგიდაზე, „მინდა“-ს გარდა?!. საქართველოსთვის ძალიან რთული სიტუაციაა, დიპლომატიური ურთიერთობა საერთოდ ვაჭრობაა, სადაც ვაჭრობა მიდის პოლიტიკაზე. ჩვენ დღეს შეგვიძლია რუსეთს მივყიდოთ მხოლოდ საკუთარი ევროპული კურსი.

**— საქართველო და მისი ხელისუფლება დაჟინებით ამტკიცებს, რომ ევროპულ კურსს არავითარ შემთხვევაში არ გაყიდის.**

– მეც მაგას ვამბობ, სანაცვლოდ, რას ვდებთ დიპლომატიურ მაგიდაზე? თუ დღევანდელი ხელისუფლება აჰყვება „ნაციონალების“ მიერ აგორებულ კამპანიას, ჩვენ მივიღებთ იგივეს, რაც 2008 წელს მივიღეთ.

**— ფაქტობრივად, როგორც ჩანს, საპარლამენტო უმრავლესობა უკვე აჰყვა „ნაციონალების“ კამპანიას, აქ შეიძლება ვთქვათ ისიც, რომ „ნაციონალებმა“ კოალიცია ჩაითრიეს. როგორც ამბობენ, არსებობს რეზოლუციის მეორე ვარიანტიც, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება „ნაციონალების“ მიერ მომზადებული რეზოლუციისგან...**

– არ გამოვრიცხავ, რომ ეს ასეა, ეს უმრავლესობის წევრების ქცევაშიც შეინიშნება...

**— თურმე ქართველმა იურისტებმა და ხელისუფლებამ უნდა მოამზადონ სამართლებრივი საქმეები, რომლებსაც აღძრავენ საერთაშორისო სასამართლოში. ხომ არ იცით, რა საქმეებზეა ლაპარაკი.**

– როგორც მახსოვს, ერთი საქმე იყო ომისდროინდელი მოვლენები, ლაპარაკობდნენ გენოციდზე, მე არ ვიცი, თუ იურისტებს აქვთ რაიმე საფუძველი, რომ რუსებს კიდევ უჩივლონ ევროპულ სასამართლოში, თუმცა ლოგიკას ისევ იქ მივყავართ, საიდანაც დავიწყეთ. ეს ყველაფერი არ უნდა იყოს არასერიოზულ კონტექსტში, მე ვშიშობ მსოფლიოს თვალში დავტოვებთ არასერიოზული ქვეყნის შთაბეჭდილებას. დღეს რასაც „ნაციონალები“ და მათ ხმას აყოლილები აკეთებენ, ეს ნამდვილად დიდი არასერიოზულობაა.

**— ნახეთ, როგორი ინტერპრეტაცია კეთდება „ნაციონალების“ მხრიდან, მათი ერთ-ერთი ლიდერი გიორგი კანდელაკი აცხადებს, რომ ეს იქნება ტესტი, უმრავლესობის წევრები ემსახურებიან საქართველოს თუ არიან ბიძინა ივანიშვილის მონები.**

– როგორც ჩანს, გიორგი კანდელაკი იმდენად არ ფიქრობს საგარეო საკითხებზე, რამდენადაც ცდილობს, გაარკვიოს საშინაო საქმეები, მისი მიზანია, საქართველოს ხელისუფლებას გადაადგმევინოს მცდარი ნაბიჯები, რათა მღვრიე წყალში კარგად დაიჭიროს თევზი. ამ შემთხვევაშიც „ნაციონალები“ რუსეთზე მუშაობენ, როგორც მთელი ცხოვრება მუშაობდნენ. მე ისევ ვიტოვებ იმედს, რომ საქართველოს მთავრობა არ აჰყვება „ნაციონალების“ მიერ დაგეგმილ პროვოკაციას.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...



## „პატიმრების წამების შემთხვევები ერთეულია“

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ციხეებში დასრულდა ის კულტურა, როდესაც ადამიანების წამება და დამცირება ხდებოდა და თუ ამგვარი რამ ხდება, ერთეული შემთხვევებია და მათზე რეაგირება მკაცრი უნდა იყოს.

„პატიმარს უნდა ეყოს ის სასჯელი, რომელიც სასამართლომ მიუსაჯა. პატიმარი არის ის ადამიანი, რომლის უფლებებიც ბოლომდე უნდა იყოს დაცული ციხეში“, – ამბობს წულუკიანი. (ნიუპოსტი)

## „რკინიგზის აღდგენა გამორიცხულია“



პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ რუსეთი აფხაზეთის მითვისებას განაგრძობს, თუმცა, ანექსიამდე ჯერ კიდევ შორს არის. სახელმწიფო მინისტრი რკინიგზის აღდგენის საკითხსაც ეხმაურება და აცხადებს, რომ მსგავსი პრეცედენტი არ დაიშვება:

„მიუხედავად ურთიერთობის დალაგებისა, რუსეთი განაგრძობს აფხაზეთის მითვისებას. ის გრძნობდა, რომ კარგავდა აფხაზეთს და იძულებული იყო, ასე საჯარო ანექსიაზე გადასულიყო. თუმცა, ანექსიამდე ჯერ კიდევ შორს არის. აფხაზეთსა და რუსეთს შორის მოხდება რკინიგზის აღდგენა? ეს გამორიცხულია“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჭკვიანი შუქნიშნები განტვირთავს მოძრაობას“



თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე გოჩა ბაბუნაშვილი, საცობების განტვირთვის მიზნით, ახალი სამსახურის შექმნისთვის დამატებითი ხარჯების გაღებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

„საპატრულო სამსახურში არსებობს ასეთი ჯგუფები, რომლებიც ადგილზე საცობების განტვირთვაში ეხმარებიან ტრანსპორტის მფლობელებს და ცალკე სამსახურის შექმნა და დამატებითი თანხების გამოყოფა ამაზე არ მიმაჩნია სწორად. ჭკვიანი შუქნიშნები რომლებსაც ახლა შემოვიღებთ, ესეც განტვირთავს მოძრაობას და ამ თემაზე კიდევ მუშაობაა საჭირო“, – განაცხადა ბაბუნაშვილმა.

ცნობისთვის, თბილისის საკრებულოს წევრი შალვა ოგბაიძე სწრაფი რეაგირების სამსახურის შექმნის ინიციატივით გამოდის, რომელიც საცობის პრობლემებს გადაწყვეტს. (news.ge)

# ვახტანგ მაისაია: „ჩემი აზრით, უპრიანია, გასაღები უშიშროების საბჭოს გადაეცეს“



**მოსმენების შესახებ კანონის მიღება, შესაძლოა, დიდი პოლიტიკური განხეთქილების მიზეზად იქცეს. მოგეხსენებათ, პრეზიდენტმა პარლამენტის მიერ ერთხელ მიღებულ კანონს ვეტო დაადო და ამით შს სამინისტროს მოსმენების ე.წ. გასაღები წაართვა. ამჟამად პარლამენტში ორი კანონპროექტია დარეგისტრირებული. ერთის ავტორები „ქართული ოცნების“ დეპუტატები ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძე არიან, მეორესი კი — „რესპუბლიკელი“ ვახტანგ ხმალაძე. „მეოცნებე სამეულის“ კანონპროექტის თანახმად, 2 გასაღები უნდა არსებობდეს. ერთი შსს-ს უნდა ჰქონდეს, მეორე კი — პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. ვახტანგ ხმალაძე და „რესპუბლიკელები“ მოითხოვენ, რომ მხოლოდ 1 გასაღები იყოს და ის გასაღები კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას გადაეცეს. ცხადია, კოალიცია „ქართული ოცნება“ საკუთარ კანონპროექტს უჭერს მხარს, მაგრამ მათ გარეშე მას კანონად ვერ აქცევენ, ხმები არ ეყოფათ. „რესპუბლიკელთა“ კანონპროექტს ახლახან გაოპოზიციონერებული „თავისუფალი დემოკრატები“ უჭერენ მხარს, შესაძლოა, მას „ნაციონალებმაც“ მისცენ ხმა, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში ეყოფა ხმები ხმალაძის კანონპროექტს. მოკლედ, უკან დახევას არც ერთი მხარე არ აპირებს და შესაბამისად, საქმე ისე მიდის, რომ პრეზიდენტს მოუწევს პრემიერთან შეთანხმებით კომპრომისული ვარიანტის წარდგენა პარლამენტში. თუ ვერც ეს კანონპროექტი მიიღო პარლამენტმა, მერე — ჰაიდა! პარლამენტს დაითხოვს პრეზიდენტი. თუმცა, სკამებსა და მაღალ ხელფას-პრემიებს გამოკიდებულ ჩვენს დეპუტატებს თუ გავიხსენებთ, საქმეს, ალბათ, აქამდე არ მიიყვანენ, დასათხოვად არ გაიხდიან საქმეს და უარეს შემთხვევაში, პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს მიიღებენ.**

**ვის უნდა ჰქონდეს წვდომა ფარულ მიყურადებასთან? ვის უნდა გადაეცეს გასაღები? რა საფრთხეები არსებობს იმ კანონპროექტებში, რომლებიც პარლამენტშია წარმოდგენილი?**

**„ალიას“ ამ და სხვა კითხვებს უსაფრთხოების ექსპერტი ვახტანგ მაისაია უპასუხებს:**

**— ბატონო ვახტანგ, თქვენი აზრით, ვისთვის სჯობს ამ გასაღების გადაცემა? თქვენ რომელ ვარიანტს ემხრობით?**

– მე არც ერთ კანონპროექტს არ ვემხრობი. ჩემი აზრით, უპრიანია, გასაღები უშიშროების საბჭოს გადაეცეს. ამ ორგანოს ანალიტიკური და სხვა ფუნქციები ჩამოართვეს, ვერ ვიტყვი, რომ მთლად უფუნქციო სტრუქტურაა, სერიოზული მისია აკისრია კანონმდებლობით და თუ მას ამ გასაღებსაც დავუმატებთ, ურიგო არ იქნება, არსებული ფუნქცია გაეზრდება. უშიშროების საბჭო პრეზიდენტს დაქვემდებარებული სტრუქტურაა და ვფიქრობ, ამ ეტაპზე, სწორედ პრეზიდენტი გააკონტროლებს ფარული მიყურადების პროცესს სათანადოდ, ყველაზე უკეთ, ისე, რომ ზედმეტი კითხვები არ გაჩნდეს. აქვე ვიტყვი, რომ ამერიკაში უსაფრთხოების სააგენტოს აქვს ეს გასაღები. „ეფ-ბი-აი“, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და სხვა ძალოვანი უწყებები თუ სპეცსამსახურები, მას მიმართავენ თხოვნით, რომ ფარული მიყურადება განახორციელონ და მერე სასამართლო, უსაფრთხოების სააგენტოს რეკომენდაციის საფუძველზე, გასცემს მოსმენების ნებართვას. მართალია, ვერც იმაზე დავდებ თავს, რომ, თუ უშიშროების საბჭოს გადაეცა ეს გასაღები, ყველაფერი იდეალურად იქნება, უკანონო ფარული მოსმენები საერთოდ აღიკვეთება. ასეთი გარანტია არ არსებობს, ამერიკასა და ევროპის არაერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ყოფილა უკანონო მოსმენების ფაქტები, ბოლოს და ბოლოს, ამერიკა ევროპის 35 ქვეყნის ლიდერს უსმენდა.

**— რატომ არ მოგწონთ არც ერთი კანონპროექტი?**

– „რესპუბლიკელთა“ კანონპროექტი მარტივი მიზეზის გამო არ მომწონს, მიმაჩნია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლო საკითხი, არ შეიძლება, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას მივანდოთ, გასაღები ძალოვან უწყებას უნდა ჰქონდეს.

**— თუ ძალოვან უწყებას უნდა ჰქონდეს გასაღები, მაშინ „ქართული ოცნების“ კანონპროექტისა რა არ მოგწონთ? მათი ვარიანტით ერთი გასაღები სწორედ ძალოვან უწყებაში, შსს-ში უნდა იყოს და მეორე, დაბალანსების, კონტროლის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან.**

– შსს-ს პირველ პირებს პირადად არაფერს ვერჩი, მაგრამ ამ უწყებაში რეფორმები არ გატარებულა, სამინისტრო სავსეა სწორედ იმ ხალხით, რომლებიც უკანონოდ უსმენდნენ ხალხს. დაზვერვა, კონტრდაზვერვა და მთლიანად, სუს-ი ისევ დათა ახალაიას დროინდელი ხალხითაა სავსე და ძალიან ბევრი მათგანი მაღალ პოსტზეც მუშაობს. ეს ადამიანები ხალხს ადრე არაფრად აგდებდნენ, ყველას უსმენდნენ, ვინც მოესურვებოდათ და თუ ახლა გასაღები გადაეცემა შსს-ს, იმავეს გააკეთებენ. რაც შეეხება მეორე გასაღებს, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ექნება, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ინსპექტორიც საჯარო მოხელეა, სახელმწიფო სამსახურს წარმოადგენს და აქ რაღაც ბალანსზე ლაპარაკი არასერიოზულია. ორივე გასაღები სახელმწიფოს ექნება, ერთი ერთ ხელში და მეორე – მეორე ხელში.

**— ანუ, შესაძლოა, შსს-მ გავლენა მოახდინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორზე?**

– კი, შესაძლოა და თქვენ გამორიცხავთ ამას? მე არ ვამბობ, რომ ამას მინისტრი გააკეთებს, მაგრამ ხომ გითხარით, რომ შსს-ს სტრუქტურები სავსეა „ნაციონალთა“ კადრებით, რომელთათვისაც ყველანაირი უკანონობა დასაშვები იყო, ეს ხალხი შანტაჟის, გადაბირებისა და ათასი უბედურების დიდოსტატია და აი, ამნაირი ხალხით სავსე შს სამინისტროს არ უნდა ჰქონდეს წვდომა გასაღებთან, შესაბამისად, არც მეორე სახელმწიფო უწყებას, პერსონალური დაცვის ინსპექტორის სამსახურს. უშიშროების საბჭო სრულიად მისაღები ვარიანტია. კი, ამ შემთხვევაში შსს-ს არ ექნება გასაღები, მაგრამ ექნება იმ უწყებას, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო საფრთხეებზეა პასუხისმგებელი. შს სამინისტროც ქვეყნის უსაფრთხოების მთავარი სამსახურია და შესაბამისად, მათ თანამშრომლობა არ გაუჭირდებათ, ძალიან ბევრი საერთო ინტერესი აქვთ ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე. შესაბამისად, არც პროკურატურას ექნება პრობლემები უშიშროების საბჭოსთან.

**— უშუალოდ უშიშროების საბჭოს მდივანს უნდა ჰქონდეს გასაღები?**

– ჩემი აზრით, უმჯობესია, უშიშროების საბჭოში შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც ამ გასაღებს ჩაიბარებს და მას პრეზიდენტი გააკონტროლებს.

ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც გავამახვილებ ყურადღებას. ბოლო ინსტანცია, ვინც მოსმენებზე ნებართვა უნდა გასცეს, მაინც სასამართლო იქნება ნებისმიერ შემთხვევაში, მაგრამ არ შეიძლება, რომ ყველა მოსამართლეს ჰქონდეს ამის უფლება. ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს მოსამართლეთა კატეგორია, ვისაც თავად სასამართლო ხელისუფლება მიანიჭებს მოსმენებზე სანქციების გაცემის უფლებას. ეს ძალიან სპეციფიკური საკითხია და ამიტომ ვამბობ ამას. გარდა ამისა, კვლავაც არიან მოსამართლენი, რომლებიც „ნაციონალთა“ მიერ კონტროლდებიან, ასეთი ხალხი კი შეგნებულად არ გასცემს მოსმენებზე ნებართვას, თუ ექსტრემისტები „ნაციონალები“ ან მათი მხარდამჭერები იქნებიან. შარშან, სასამართლოში არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, როცა ამგვარი საბოტაჟით, პროკურატურას დროულად არ მისცეს დამნაშავე „ნაციონალთა“ ფარული მიყურადების უფლება და ამით გამოძიებას ხელი შეუშალეს.

**— თუ ისევ სასამართლო ხელისუფლება გადაწყვეტს, რომელმა მოსამართლემ უნდა გასცეს მოსმენებზე სანქცია, ამით არაფერი შეიცვლება. კოტე კუბლაშვილიც „ნაციონალია“...**

– გასაგებია, მაგრამ ეს პროცესი უნდა გაკონტროლდეს, იმ მოსამართლეებს, რომლებიც მრავალი უკანონო განაჩენის ავტორები არიან, არ შეიძლება ასეთი საქმე ჩააბარო, გამოძიების ინტერესები და ქვეყნის უსაფრთხოება მათ ნებაზე იყოს დამოკიდებული, გასცემ თუ არა ფარულ მიყურადებაზე სანქცია. არ შეიძლება, საგამოძიებო სტრუქტურები, ასეთი მოთხოვნის დროს, მუდმივი საბოტაჟის წინაშე იდგნენ. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, კუბლაშვილს ყავლი მალე გასდის და აღარ იქნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კახი კახიშვილის განცხადება



კახი კახიშვილი რამდენიმე დღის წინ გახმაურებულ ციხის კადრებსა და განვითარებულ მოვლენებს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ეხმაურება:

„სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ზოგიერთები ცდილობენ საზოგადოების აზრის ფორმირებას იმ კუთხით, თითქოს და მე ან სამინისტროს რომელიმე ხელმძღვანელი ხელს ვაფარებთ ე.წ. წამების ფაქტებს. იმის შემდეგ, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა სახალხო დამცველის განცხადება, გლდანის მე-8 დაწესებულებაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ კანონით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გაკეთდა ყველაფერი, რათა დადგენილიყო სიმართლე.

1. დაუყოვნებლივ მიეცა მითითება სამინისტროს გენერალურ ინსპექციას სამსახურებრივი შემოწმების დაწყების შესახებ.

2. საგამოძიებო დეპარტამენტს მიეცა დავალება, ამ საკითხთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაეკითხათ, როგორც პატიმრები, ასევე თანამშრომლები.

3. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებას არ დარჩენოდა კითხვები, უწყებაში ჩაკეტილ გამოძიებასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურასთან კონსულტაციის შედეგად, აღნიშნული საქმე გამოითხოვა და გამოძიებას დაასრულებს საქართველოს პროკურატურა.

4. გაჩენილმა კითხვამ, გამოძიების მიმდინარეობისას რატომ არ იქნენ გადაყენებულნი შესაბამისი მუშაკები, განვმარტავ, რომ აღნიშნულ პროცედურას არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და თანამშრომლების უფლებამოსილების შეჩერების საკითხს წყვეტს სასამართლო. ამრიგად, მინდა აღვნიშნო, კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან ყველაფერი გაკეთდა ამ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. იმედია, გამოძიება სიმართლეს დაადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთა, რომ რომელიმე თანამშრომელმა თავს უფლება მისცა და აწამა პატიმარი, მერწმუნეთ, რომ ამას არავინ დამალავს, საკუთარი ძმაც რომ იყოს. აქვე, ვადასტურებ, რომ ამ სისტემაში არის ძალიან ბევრი პრობლემა, დაწყებული პატიმართა და თანამშრომელთა უფლებებით, დასრულებული მენეჯმენტითა და ინფრასტრუქტურით.

ზუსტად ამის აღმოსაფხვრელად არის მომზადებული 38 კანონში ცვლილებათა პაკეტი, რომელიც 28 ნოემბერს წარედგინება საქართველოს მთავრობას და სამთავრობო განხილვის შემდეგ გადაეცემა საქართველოს პარლამენტს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ბერძენიშვილი „რესპუბლიკელების“ უმრავლესობიდან წასვლას უარყოფს



„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მათი პარტია უმრავლესობას ტოვებს. მისი განცხადებით, ე.წ. გასაღებზე პარლამენტში კამათია, თუმცა ეს „რესპუბლიკელების“ უმრავლესობიდან წასვლის მიზეზი არ იქნება.

„მსგავსი რამ არ ხდება, არც ის ვიცი, ვინ ავრცელებს ამ ინფორმაციას. პარლამენტში ე.წ. გასაღებთან დაკავშირებით არის კამათი, მაგრამ ეს არაფერ შუაშია „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ უმრავლესობის დატოვებასთან. ამ ეტაპზე მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია“, – განაცხადა ბერძენიშვილმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# საყდრისის გაძეგლების საკითხი

## „საყდრისი“ ნამდვილად „შეპარებულია“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში!“

**რადგანაც სანახევროდ ორსულობა ბუნებაში არ არსებობს და ორსულობა ან ფიქსირდება, ან არა, მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ „არემჯი ჯგუფს“ საყდრისის ტერიტორია ეკუთვნის, თუ არ ეკუთვნის.**

**ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ საყდრისში აღმოჩენილი „ოქროს მაღაროს“ დამცველებისა და ამ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მქონე „არემჯი ჯგუფს შორის სიტუაცია დიდი ხანია, დაძაბულია და ექსპერტების აზრით, დროა, საქმეში საქართველოს მთავრობა ჩაერიოს.**



**ლია ელიავა, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

– „გამოსავალი არის ერთადერთი: სახელმწიფომ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რაც აიღო ინვესტორის წინაშე, ან მოიფიქროს, ისეთი მეთოდები, რომლებიც ინვესტორთან შეთანხმების საფუძველზე მას საშუალებას მისცემს, შეცვალოს ხელშეკრულება და შესთავაზოს ანალოგიური, ან უკეთესი პირობები, სხვა გამოსავალი აქ არ არის! საქართველოს ხელისუფლება უნდა იქცეოდეს ისე, როგორც ჭეშმარიტად ცივილიზებული და განვითარებული ხელისუფლება და პასუხს უნდა აგებდეს როგორც საკუთარ, ისე მისი წინამორბედი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. საყდრისი მარტო ინვესტორის პრობლემა არაა, სიღრმისეული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ესაა ის ბიზნესი, რომელიც ყველა ხელისუფლების ინტერესებში შედის: როგორც წინა ხელისუფლების, ისე – დღევანდელი და ასევე ხვალინდელი ხელისუფლებისაც და, თუ აღმოჩნდა, რომ კომპანია „არემჯი ჯგუფი“ ბოლნისს, საქართველოს ამ მნიშვნელოვან რეგიონს, ფეხზე დააყენებს და ამდენად ის უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის, შეიძლება, უკან დაიხიონ იმ პიროვნებებმა, ვისთვისაც ისტორიული ძეგლის უპირატესობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვეყნის კეთილდღეობა და ადამიანის შიმშილისგან გადარჩენის უპირატესობა“.

ჩვენი მხრივ, შეგახსენებთ, რომ ქართველმა და გერმანელმა არქეოლოგებმა ქვემო ქართლში, საყდრისში აღმოაჩინეს, მათი განცხადებით, მსოფლიოში უძველესი ოქროსმომპოვებელი მაღარო, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით მეოთხე ათასწლეულით არის დათარიღებული და არქეოლოგების განცხადებით, როგორც საქართველოს ისტორიაა წარმოუდგენელი დმანისის აღმოჩენების გარეშე, ასეთივე მნიშვნელობისაა საყდრისი, როგორც ძეგლიო... მაგრამ აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: თავად ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ეკუთვნის „არემჯი ჯგუფს“ და ასევე, საინტერესოა თავად ინფორმაცია საყდრისი-ყაჩაღიანის „ძეგლობის“ შესახებ:

საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვი მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთთან, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2006 წელს კულტურის მაშინდელი მინისტრის №3/133 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა. თუ როგორ, და რა მოხდა, ამას ახლავე დაწვრილებით გიამბობთ, მანამდე პატარა ისტორიას გაგაცნობთ: არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, რომელ ეპოქაში და რა სახის საქმიანობას ეწეოდა ადამიანი საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე არსებულ ე.წ. მაღაროებში. გეოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრეისტორიულ ეპოქაში შეუძლებელი იყო ოქროს მოპოვება ქანებში მისი დაბალი შემცველობისა და შესაბამისი ტექნოლოგიის არარსებობის გამო.

საყდრისის გაძეგლების ამბავი კი შემდეგნაირია და კონკრეტულად, საყდრისისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება ასე მოხდა: 1977 წლიდან მოქმედებდა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვისა და გამოყენების კანონი, რომელიც 1999 წელს ახალმა კანონმა გააუქმა, მაგრამ არავის გახსენებია, რომ გაუქმდა ასევე ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელიც კანონის ფარგლებში იყო მიღებული, ანუ საქართველოში ამ დროს ყველა ძეგლს სტატუსი მოხსნილი ჰქონდა.

2006 წელს, მინისტრ გოკა გაბაშვილის ბრძანებით, უკვე ხელახლა მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსების აღდგენა და მინისტრმა ძეგლის სტატუსი 4000-ზე მეტ ძეგლს აღუდგინა, რომლებიც შეცდომით აღმოჩნდნენ სტატუსის გარეშე და აი, ამ ნუსხაში რატომღაც მოხვდა 2004 წელს „აღმოჩენილი“ საყდრისი, რომელიც მანამდე წესიერად შესწავლილიც კი არ ყოფილა. ვიმეორებთ, საყდრისი-ყაჩაღიანის „უძველესი ოქროს მაღარო“, სამართლებრივად არ უნდა მოხვედრილიყო 2006 წლის ბრძანების დანართში, რადგანაც არ წარმოადგენდა მისი რეგულირების საგანს და, წესით და კანონით, ძეგლის სტატუსი ობიექტს მხოლოდ სამინისტროს შესაბამისი კომისიის საფუძველზე უნდა მინიჭებოდა, რაც არ განხორციელებულა და რის გამოც დაირღვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონი. 2013 წლის 28 მაისს კულტურის მაშინდელი მინისტრის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ ობიექტს სტატუსი მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევით. კომისიამ, აგრეთვე, დაასკვნა, რომ წარდგენილი მასალების მიხედვით, არ დასტურდება საყდრისის ტერიტორიაზე „უძველესი ოქროს მაღაროს“ არსებობა.

„არემჯი ჯგუფის“ კომისიის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ საყდრისს ძეგლის სტატუსი აშკარად კანონდარღვევით აქვს მინიჭებული, დღემდე ვერავინ აპროტესტებს, რადგანაც ეს ჭეშმარიტებაა. თავად მოტივი, რითაც ძეგლს სტატუსი მიენიჭა, იყო ის, რომ საყდრისში არსებობდა მსოფლიოში უძველესი მაღარო, სადაც ხდებოდა ოქროს მიღება სამთო მოპოვების წესით. ამის შემდეგ 2013 წლის 5 ივლისს, ასევე კულტურის მინისტრის ბრძანებით, საყდრისს ძეგლის სტატუსი გაუუქმდა შემდეგი მიზეზით: პირველი, რადგან ის, თავის დროზე, იურიდიულად არასწორად ექნა მინიჭებული და, მეორე, სტატუსი გაუუქმდა, რადგანაც დოკუმენტურად არ მოხერხდა იმის დადასტურება, რომ ნამდვილად აქ ხდებოდა ოქროს მოპოვება. საბოლოო ჯამში კი, საყდრისს გაუუქმდა ჯერ ეროვნული კატეგორია და ხოლო შემდეგ – არქეოლოგიური ზონა და დღეს საყდრისი არის ისეთივე ჩვეულებრივი ობიექტი, როგორიც ნებისმიერი სხვა.

აქვე ვიტყვით, რომ თავად ობიექტი არის საკმაოდ სპეციფიკური. არქეოლოგების თქმით, ჩვენი წინაპარი თურმე ქვით ანგრევდა კლდეს, კოცონს ანთებდა, მიღებულ მასას ნაყავდა, წვალობდა და ასე იღებდა ოქროს, რაც ძალზე საეჭვოა, რადგანაც დღესაც კი უახლესი ტექნოლოგიით, საყდრისში ოქროს მოპოვება შეიძლება მხოლოდ ქიმიური წესით, რაც მაშინ, ცხადია, არ არსებობდა. ასევე, საყდრისში ქვაშია ჩაწინწკლული ოქრო, რომელიც შეუიარაღებელი თვალისთვის არ ჩანს და აქ ისმის კითხვა, რატომ ვერავინ ამბობს, როგორ წყდებოდა კლდეში განათების პრობლემა? დიდ სიღრმეში შუქი საიდან ჩადის? ან როგორ ხდება ვენტილაცია? იქ თურმე უზარმაზარ კოცონს ანთებდნენ – თანაც 28-30 მეტრის სიღრმეში?

ეს ის კითხვებია, რაც უპასუხოდ არის დარჩენილი, ან ნაკლებად დამაჯერებელი პასუხები აქვს გაცემული, საქმე კი დგას. ზარალობს კომპანია და რეგიონის მოსახლეობა, რომელიც აქ იყო დასაქმებული. არადა, კომპანიის მიერ გაცემული შრომის ყოველწლიური ანაზღაურების მოცულობა საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება: მხოლოდ 2009-3013 წლებში კომპანიის მიერ საკუთარ თანამშრომლებზე გაცემულმა ჯამურმა შრომის ანაზღაურებამ 141 მილიონი ლარი შეადგინა.



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### უსუფაშვილი მზად არის, კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღოს



დავით უსუფაშვილი მზად არის, პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ კონსულტაციებში ჩაერთოს.

„წარმოგიდგენიათ, საქართველოს რომელიმე მოქალაქემ თქვას, რომ არ ჩაერთვება იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობამ ერთად რაც შეიძლება მყარად და მტკიცედ განუცხადოს ყველას და პირველ რიგში აგრესორს, რომ მისი ეს ნაბიჯები მარცხისთვისაა განწირული და რომ ქართველები არასოდეს შევეგუებით იმას, რაც რუსეთს სურს. ჩვენ შევეგუებით იმას, რაც გვსურს ჩვენ და რაც აფხაზ ხალხს ენდომება, როდესაც მათ თავიანთი სურვილის თავისუფლად გამოთქმისა და აღსრულების შესაძლებლობა ექნებათ“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)



# რას შეჰპირდა დავით უსუფაშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციას?

**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით შექმნილი, 16 არასაპარლამენტო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიით დაკომპლექტებული ინტერპარტიული ჯგუფი, პარლამენტის თავმჯდომარესა და ამავდროულად საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს შეხვდა. პარლამენტს გარეთ მყოფი პოლიტიკური ძალების ლიდერებმა უსუფაშვილს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გააცნეს.**

**„ალიას“ „ერთიანი დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ახვლედიანი ესაუბრა:**

– შევთავაზეთ და წარვუდგინეთ ინტერპარტიულ ჯგუფში შეთანხმებული და ჩამოყალიბებული ვარიანტი, რომლის თანახმადაც ჩვენ ვთვლით, რომ უნდა შეიცვალოს დღეს არსებული საარჩევნო სისტემა და ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების ნაცვლად უნდა ჩამოყალიბდეს საერთო პროპორციული სისტემა. ანუ 150 დეპუტატი პარლამენტში არჩეული უნდა იქნას პროპორციული სისტემით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველაზე ობიექტური ვარიანტია, რამდენ პროცენტსაც აიღებს პარტია, ზუსტად იმდენივე დეპუტატი შეიყვანოს პროცენტული შემადგენლობით პარლამენტში. აღარ უნდა მოხდეს ისეთი სისულელეები, როგორც ადრე ხდებოდა, მაგალითად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აიღო 56% ხმებისა, თუმცა, პარლამენტში შეიყვანა დეპუტატების 89%. ასევე, 2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, „ქართულმა ოცნებამ“ თბილისში აიღო 44%, თუმცა, საკრებულოში დეპუტატების 75% შეიყვანა. ეს არის დიდი უსამართლობა და უნდა აღმოიფხვრას.

**— რა განწყობა აქვს დავით უსუფაშვილს თქვენს წინადადებებზე?**

– შეხვედრა ძალიან პოზიტიურ ჭრილში წარიმართა, დავით უსუფაშვილმა თქვა, რომ ის იმ განცხადებების ერთგული რჩება, რომელსაც მხარს უჭერდა საპარლამენტო არჩევნებამდე, ხელისუფლებაში მოსვლამდე. ერთგული რჩება იმ პრინციპებისა, რის გამოც ის იბრძოდა. ანუ, როგორც თქვა, მას პოზიცია არ შეუცვლია. მნიშვნელოვანია, როცა პარლამენტის თავმჯდომარე ამ პოზიციაზეა.

**— საარჩევნო სისტემის შესაცვლელად დავით უსუფაშვილის პოზიცია საკმარისია?**

– რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი, დავით უსუფაშვილს ერთი ხმა აქვს, ამ საქმეს კი 114 ხმა სჭირდება, თუმცა, ჩვენ დაველოდებით, რას იტყვიან კოალიციის წარმომადგენლები, რამდენად იქნებიან ისინი ისეთივე ადეკვატურები, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარეა.

**— ამ საკითხს საკონსტიტუციო ცვლილებებიც სჭირდება... ეს ერთმანდატიანი სისტემა კონსტიტუციაშია ასახული და რის იმედი გაქვთ?**

– საკონსტიტუციო ცვლილებებზე უკვე მუშაობს საკონსტიტუციო კომისია. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კი შეიძლება ამ კომისიამ განიხილოს, ეს არის სწორედაც ერთმანდატიანი სისტემის შეცვლა. უახლოეს დღეებში ამ თემაზე კომისიაშიც ვიმსჯელებთ, რადგან ჩვენც გვყავს წარმომადგენლები საკონსტიტუციო კომისიაში. პარალელურ რეჟიმში, ამ თემაზე მსჯელობას დაიწყებს ხელისუფლებაც, დაიწყებენ იმაზე ფიქრს, რა პასუხი უნდა გაეცეს ჩვენს ინიციატივას.

პირველ რიგში, იმაზე უნდა შევთანხმდეთ ხელისუფლებასთან, რომ გავაუქმოთ ეს ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემა და თუ იმაზე შევთანხმდებით, რომ უნდა გავაუქმოთ, უკვე გრანდიოზულ ნაბიჯს გადავდგამთ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გასავითარებლად და საარჩევნო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის დასაბრუნებლად. ეს იქნება ყველაზე დიდი შეთანხმება პოლიტიკურ პარტიებს შორის, რაც კი შეიძლება მოხდეს მომავალი წლის განმავლობაში. შეთანხმების შემდეგი ნაბიჯი იქნება, საარჩევნო სისტემის რომელ ვარიანტზე შევჯერდებით, რასაც ჩვენ შევთავაზებთ, თუ რამე სხვა ვარიანტებიც გაჩნდება.



**„დავით უსუფაშვილს ერთი ხმა აქვს, ამ საქმეს კი 114 ხმა სჭირდება, თუმცა, დაველოდებით, რას იტყვიან კოალიციის წარმომადგენლები, რამდენად იქნებიან ისინი ისეთივე ადეკვატურები, როგორიც პარლამენტის თავმჯდომარეა“**

**— ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე წასვლა გულისხმობს გარკვეულ დათმობებზე წასვლასაც, ორივე მხრივ. ხომ არ ყოფილა შეხვედრაზე საუბარი, რა დათმობაზე შეიძლება წავიდეს ხელისუფლება, ან თქვენგან, მაქსიმუმ, რა დათმობას უნდა ველოდოთ?**

– ჯერჯერობით არანაირ დათმობაზე არ არის საუბარი, მაგრამ როცა პოლიტიკურ საკითხებსა და შეთანხმებებზე ვსაუბრობთ, შეიძლება, მოხდეს მსგავსი შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა. როცა უკვე დაიწყება საუბარი, რა სახის ვარიანტზე უნდა შევჯერდეთ, აი, იქ გამოჩნდება, ვინ რას დათმობს, თუმცა ქვეყნის ინტერესებისთვის ყველა მხრიდან შეიძლება რაღაცების დათმობა. ჩვენთვის კატეგორიულად მნიშვნელოვანია, ჩვენ მიერ წარმოდგენილი სისტემა იყოს მაქსიმალურად გატანილი და გათვალისწინებული, რადგან ჩვენ ვთვლით, რომ ამაზე ობიექტური და სამართლიანი სისტემა კაცობრიობას არ მოუგონია. ჩვენ გვაქვს არგუმენტები, რომლის მეშვეობითაც ჩვენს პოზიციას დავიცავთ, დანარჩენი პოლიტიკური შეთანხმების საკითხია. მოვისმენთ სხვა არგუმენტებსაც.

**— ბევრი შემთხვევა გვახსოვს, როცა ხელისუფლება ოპოზიციას რაღაც კონკრეტულს ჰპირდება, მაგრამ მერე არ ასრულებს. როგორც ამბობთ, დავით უსუფაშვილი ერთგული რჩება მისი ოპოზიციისდროინდელი პოზიციისა. თუ ისე არ მოხდება ყველაფერი, როგორც უსუფაშვილი საუბრობდა, რას იზამთ?**

– თუ ასე არ მოხდა, ჩვენ ვამხელთ ხელისუფლებას, ღიად გავაკეთებთ განცხადებას, რომ ისინი ღიად ატყუებენ საზოგადოებას და ის, რასაც გვეუბნებოდნენ ოპოზიციაში ყოფნისას, არის ტყუილი, რადგან მთავრობაში მოსვლის შემდეგ აბსოლუტურად შეცვალეს მიდგომები. ეს ყველაფერი მათ ძალიან ძვირად დაუჯდებათ, რადგან საარჩევნო ყუთებთან იწვნევენ თავიანთი ქმედებების ძალას. საზოგადოების მოტყუება არ არის ასეთი იოლი. ჯერ დაჰპირდე მოსახლეობას და მერე, როცა ხელისუფლებაში მოხვალ, უთხრა, რომ მაჟორიტარული ოლქები მჭირდება, რადგან მინდა ხელისუფლება დიდხანს შევინარჩუნოო, ამას საზოგადოება და ამომრჩეველი არ პატიობს მთავრობას და ეს უნდა იცოდეს ხელისუფლებამაც.

**— ახლა რას აპირებთ, რა იქნება თქვენი შემდეგი ნაბიჯი?**

– შემდეგი ნაბიჯი საკონსტიტუციო საბჭოში საარჩევნო სისტემის საკითხის განხილვაა. ამ საკითხს დავაყენებთ საკონსტიტუციო საბჭოში და დაიწყება სეროზული მსჯელობა. ველით პროცესის აქტიურად გაგრძელებას.

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „რუსეთის მხრიდან ჩადენილია საერთაშორისო მეკობრეობის უპრეცედენტო აქტი“



„ლეიბორისტების“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან ხელშეკრულების გაფორმებას გამოეხმაურა:

„ჩადენილია საერთაშორისო მეკობრეობის უპრეცედენტო აქტი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან. ყველაფერ ამის გამომწვევი მიზეზი გახლავთ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების უნიათო, უპრინციპო და უკბილო პოლიტიკა, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უგულებელყოფასთან, მცონარობასთან, უპასუხისმგებლობასთან. ყველაფერს ამას დაამთავრებს მხოლოდ და მხოლოდ ახალი არჩევნები, ახალი მთავრობა და ახალი პოლიტიკური კურსი.

ჩვენ მზად ვართ ავიღოთ პასუხისმგებლობა ამ დამანგრეველი პროცესების შეჩერებაზე, ჩვენ შეგვიძლია, დაველაპარაკოთ სამყაროს ოთხივე მხარეს – ჩრდილოეთსაც, სამხრეთსაც, დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც, რადგან ყველგან მიგვესვლება და ყველგან შეგვიძლია ქვეყნის ინტერესების დასაცავად ვთქვათ ძალიან სერიოზული სიტყვა.

მოვუწოდებთ რუსეთის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს, შევქმნათ ორ ქვეყანას შორის ინტერპარტიული საბჭო, სადაც წამყვანი პოლიტიკური პარტიები ორივე მხრიდან, დასხდებიან და დაიწყებენ კონსულტაციებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ამ საშინელი ჩიხიდან გამოსაყვანად“, – განაცხადა ნათელაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვინ იქნება საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი?



ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან თემურ ქეცბაიას წასვლის შემდეგ აქტიურად განიხილება საკითხი, ვინ ჩაუდგება ეროვნულ ნაკრებს სათავეში. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ პოსტზე ცნობილი გერმანელი ფეხბურთელისა და სპეციალისტის, მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ეროვნული ნაკრების კაპიტნის, ლოთარ მათეუსის კანდიდატურა განიხილება.

ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის, ლაშა დვალიშვილის განცხადებით:

„ლოთარ მათეუსი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატია, სულ ჩვენ 20-მდე კანდიდატს განვიხილავთ, მათ შორის არიან ქართველი და უცხოელი სპეციალისტებიც. როგორც ჩანს, მათეუსის გვარი იმიტომ იქნა ატაცებული, რომ ის აღნიშნულ კანდიდატებს შორის ყველაზე პოპულარული პიროვნებაა. გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული და მწვრთნელის ვინაობა, სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლოს გახდება ცნობილი“. – განაცხადა დვალიშვილმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge






# გიორგი გუგავა: „დიახ, თითოეული დეპუტატი დამატებით იღებს 10 ათას დოლარს თვეში“

## რას პასუხობენ გუგავას დეპუტატები ქანთარია და ლორთქიფანიძე და „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერები ბიძინა ივანიშვილს დეპუტატების მოსყიდვაში ადანაშაულებენ. შალვა ნათელაშვილის მტკიცებით, მან ფინანსური მაქინაციებით გადაიბირა არა მხოლოდ ყოფილი „ნაციონალები“ და ოდიოზური ფიგურები, არამედ უმრავლესობის თითოეულ წევრს „ქართუ ბანკიდან“ ყოველთვიურად უხდის 10 ათას დოლარს: „თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ ყოფილი „ნაციონალები“ უმრავლესობაში უფასოდ გადავიდნენ? გარდა ამისა, უმრავლესობის დეპუტატებს აქვთ ბარათები და პირდაპირ „ქართუ ბანკიდან“ ხსნიან თანხებს“.

**„ვინაიდან, დეპუტატს მაღალი ხელფასი აქვს, შეიძლება სესხიც მაღალი მივცეთ. აი, გულახდილად გეუბნები, არც კი ვიცი, რამდენ დეპუტატს აქვს გახსნილი ჩვენთან ბარათი და ვის რამდენი აქვს „ოვერდრაფტი“. მე პირიქით გეტყვი, როდესაც ჩემთან დეპუტატები მოდიან სესხის ასაღებად, სულ ვეკითხები: კაცო, შენ დეპუტატი არ ხარ? თუ ხარ, მაშინ ბიზნესი რატომ გაქვს? იმ წუთში გაწითლდებიან ხოლმე“**

ამ თემაზე „ალიასთან“ უფრო დეტალურად საუბრობს გიორგი გუგავა. მისი თქმით, „ქართუ ბანკში“ გახსნილია სპეციალური ტრანში, საიდანაც უმრავლესობის დეპუტატები ყოველთვიურად იღებენ 10-10 ათას დოლარს, კომიტეტების თავმჯდომარეები უფრო მეტს:

– როცა თავის დროზე ესენი კოალიციაში შევიდნენ, მაშინაც ფულს დახარბდნენ და ახლაც იმიტომ არიან იქ, რომ კარგი შემოსავლები აქვთ, ამათი შემკრებ-შემდუღაბებელი იყო ბიძინა ივანიშვილის ფული. ვისაც ბიზნესები აქვს და მილიონებს აკეთებს, მათ მწვანე შუქი აქვთ ანთებული, ხოლო დანარჩენები საბარათო სისტემით იღებენ ბიძინა ივანიშვილისგან დამატებით თანხებს. აგერ, დავით უსუფაშვილმა და თინა ხიდაშელმა თავიანთ შვილებს საქართველოში სწავლა არ აკადრეს და უცხოეთში წაიყვანეს... აგერ, ბატონმა ზვიად ძიძიგურმა ორთაჭალაში წამოიწყო სასახლის მშენებლობა. ზოგმა ბინა შეიძინა, ზოგმა შვილები გაუშვა უცხოეთში, ზოგმა მიწები ჩაიგდო ხელში და ასე შემდეგ. ბუნებრივია, ამდენ რამეს პარლამენტარის ხელფასით ვერ გააკეთებდნენ... მართალია, დეპუტატის ხელფასი მაღალია, მაგრამ ამისთვის მაინც არ არის საკმარისი.

**— ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ უმრავლესობის დეპუტატები ბიძინა ივანიშვილისგან იღებენ ხელფასებს?**

– დიახ, თითოეული დეპუტატი დამატებით იღებს 10 ათას დოლარს თვეში. ესენი გაზრდიან პენსიებს და ადამიანურ კანონებს მიიღებენ?

**— ეს სკანდალია, დოკუმენტურად დაამტკიცებთ? მე ამის შესახებ „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტს, ნოდარ ჯავახიშვილსაც უნდა ვკითხო.**

– ბუნებრივია, ამ ინფორმაციას უარყოფენ, ვინ დაადასტურებს? ეგ რომ აღიარონ, მაშინ თვითონვე უნდა დაიდონ ბორკილები ხელებზე, მაგრამ დადგება დრო, როცა ეს ყველაფერი გამოაშკარავდება, ამოღებული იქნება ამ ბანკის გადარიცხვები, ქვითრები და ყველა დარწმუნდება, რომ ეს სიმართლეა.

**„ბუნებრივია, ამ ინფორმაციას უარყოფენ, ვინ დაადასტურებს? ეგ რომ აღიარონ, მაშინ თვითონვე უნდა დაიდონ ბორკილები ხელებზე, მაგრამ დადგება დრო, როცა ეს ყველაფერი გამოაშკარავდება, ამოღებული იქნება ამ ბანკის გადარიცხვები, ქვითრები და ყველა დარწმუნდება, რომ ეს სიმართლეა“**



ამ საკითხის გასარკვევად „ალია“ „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტს, **ნოდარ ჯავახიშვილს** დაუკავშირდა:

**— ბატონო ნოდარ, „ლეიბორისტები“ ამბობენ, რომ თქვენი ბანკიდან საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დამატებით თანხებს იღებენ.**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

# ლიბერთი ბანკმა 5 წლის იუბილესთან დაკავშირებულ წამახალისებელ აქციებში გამარჯვებული იღბლიანი მომხმარებლები დააჯილდოვა

2009 წლის სექტემბერში, ახალი ინვესტორისა და მენეჯმენტის ახალი გუნდის მოსვლის შემდეგ განხორციელდა ბანკის რებრენდინგი და ბაზარზე „სს ლიბერთი ბანკი“ გამოჩნდა. მას შემდეგ ბანკში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, რის შედეგადაც ბანკთა შორის რეიტინგში ლიბერთი ბანკმა მეშვიდე ადგილიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ლიბერთი ბანკი საქართველოს საბაზრო სექტორთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება. 2009 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე, ბანკის აქტივები 453.4%-ით გაიზარდა, ხოლო საბანკო სექტორის აქტივები – 142.7%-ით გაიზარდა; ლიბერთი ბანკის მთლიანი სესხები 710.6%-ით გაიზარდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი საქართველოს საბანკო სექტორისთვის 124.0%-ს შეადგენდა. ასევე, აღსანიშნავია კლიენტთა დეპოზიტების ზრდის ტემპი – ლიბერთი ბანკში ეს მაჩვენებელი 769.3%-ით გაიზარდა, ხოლო საბანკო სექტორში – მხოლოდ 206.5%-ით. ლიბერთი ბანკი ემსახურება 1.5 მილიონამდე ფიზიკურ პირს, 95,000-ზე მეტ იურიდიულ პირს და საქართველოში მომსახურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს.




5 წლის განმავლობაში, ლიბერთი ბანკმა ბევრი ინოვაციური პროდუქტი და მომსახურების ახალი არხი შექმნა. 5 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბანკმა მომხმარებელს წამახალისებელი აქციები შესთავაზა. აქციები 19 სექტემბრიდან დაიწყო და 19 ოქტომბერს დასრულდა. დამატებით გაიმართა **Facebook** კონკურსი, რომელიც 20 ნოემბერს დასრულდა. აქციების ფარგლებში, საჩუქარი ათმა იღბლიანმა მომხმარებელმა მიიღო. პრიზები გადაეცათ:

- **ონლაინ განვადების ყოველ მე-100 მომხმარებელს – გამოვლინდა 2 გამარჯვებული;**
- **SmartPAY მომსახურების გამოყენებით, ყოველ მე-1,000 მსესხებელს – გამოვლინდა 2 გამარჯვებული;**
- **მობილური ბანკის აპლიკაციის გამოყენებით, ყოველი მე-1,000 ტრანზაქციის ავტორს – გამოვლინდა 4 გამარჯვებული;**
- **ლიბერთი ბანკის სწრაფი გადახდის აპარატებით შესრულებული ყოველი მე-5,000 ტრანზაქციის ავტორს – გამოვლინდა 1 გამარჯვებული;**
- **Facebook კონკურსის გამარჯვებულს – გამოვლინდა 1 გამარჯვებული.**

**იღბლიან მომხმარებლებს საჩუქრად „Apple-“ის მობილური ტექნიკა გადაეცათ.**

**დამატებითი დეტალები წამახალისებელი აქციის შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://libertybank.ge/5years/**

ლიბერთი ბანკი მსგავს წამახალისებელ აქციებს ახლო მომავალშიც გეგმავს.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



*მეშვიდე გვერდიდან*

– (იცინის) გელა, „ლეიბორისტებს“ ჩემზე კარგად იცნობ... მაგათ გადაეცი, ნოდარ ჯავახიშვილი მოკვდა სიცილით-თქო.

**— კი, მაგრამ საერთოდ არც ერთი დეპუტატი არ იღებს ასეთ დახმარებას?**

– ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, რას ჰქვია, ტრანში მაქვს გახსნილი უმრავლესობის წევრებისთვის? ეტყობა, მაგათ სხვა რაღაცა გაიგეს... მაგალითად, დეპუტატების ნაწილმა მოინდომა, რომ ჩვენთან გადმოეტანა სახელფასო პროგრამა, ანუ ხელფასებს ჩვენთან იღებენ. ვინც ჩვენთან იღებს ხელფასს, დეპუტატი იქნება თუ სხვა, არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ „ოვერდრაფტს“ ვუმტკიცებთ, თუ გაუჭირდა რაღაც მომენტში, ხელფასის ორმაგ ოდენობას ვაძლევთ. ვინაიდან, დეპუტატს მაღალი ხელფასი აქვს, შეიძლება სესხიც მაღალი მივცეთ. აი, გულახდილად გეუბნები, არც კი ვიცი, რამდენ დეპუტატს აქვს გახსნილი ჩვენთან ბარათი და ვის რამდენი აქვს „ოვერდრაფტი“. მე პირიქით გეტყვი, როდესაც ჩემთან დეპუტატები მოდიან სესხის ასაღებად, სულ ვეკითხები: კაცო, შენ დეპუტატი არ ხარ? თუ ხარ, მაშინ ბიზნესი რატომ გაქვს? იმ წუთში გაწითლდებიან ხოლმე.

**— ესე იგი, დეპუტატები მოდიან, მათ აქვთ ბიზნესები და დამატებით გთხოვენ სესხებსაც, ხომ?**

– კი, ასეა.

**— გიორგი გუგავა ამბობს, რომ დეპუტატებისთვის ბიძინა ივანიშვილს აქვს რაღაც თანხა ცალკე გამოყოფილი.**

– არა, ბიძინა ივანიშვილი ყველა ოპერაციას ბანკიდან აკეთებს, ჯიბიდან არავის არაფერს აძლევს. ასეთ ქველმოქმედებას ადრეც ეწეოდა, მაგრამ დეპუტატებს დღეს არავითარ თანხას არ აძლევს. შეიძლება იყოს ასეთი რამე: მაგალითად, გოგი ქავთარაძეს ურიცხავდა ადრე. ამ ფულს აძლევდა როგორც მსახიობს. სიმართლე გითხრა, მე ამ საკითხებით არ ვარ დაინტერესებული, ამას განიხილავს „ქართუ ჯგუფი“ და მერე ჩვენთან რიცხავს. ალბათ, იცი, ბიძინა ივანიშვილი ეხმარებოდა დამსახურებულ ადამიანებს, მწერლებს, მსახიობებს, მომღერლებს, სპორტსმენებს და ასე შემდეგ, ძალიან ბევრს არც იცნობდა და არც აინტერესებდა, მაგალითად, ადამიანი ოლიმპიური ჩემპიონია? უნდა მივცეთ ამდენი. ადამიანი დამსახურებული არტისტია? უნდა მივცეთ ამდენი. სიმართლე გითხრა, ახლა რამდენს აძლევს და ვის აძლევს, ამით დიდი ხანია, აღარ დავინტერესებულვარ. ვიმეორებ, დეპუტატზე გამორიცხულია.



**„არანაირ 10 ათას დოლარს ჩვენ არ ვიღებთ, ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიღებ. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, წამომყვეს „ქართუ ბანკში“, გავხსნი ჩემს ანგარიშს და თუ ვინმე რამეს აღმოაჩენს, იქვე ვაჩუქებ“**

**საპარლამენტო უმრავლესობაში „ლეიბორისტების“ მტკიცებას მტკნარ სიცრუეს უწოდებენ. როგორც დათო ლორთქიფანიძე ამბობს, ასეთი ცრუ ინფორმაციის გავრცელება უკვე მიუღებელი და აუტანელია:**

– არანაირ 10 ათას დოლარს ჩვენ არ ვიღებთ, ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიღებ. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, წამომყვეს „ქართუ ბანკში“, გავხსნი ჩემს ანგარიშს და თუ ვინმე რამეს აღმოაჩენს, იქვე ვაჩუქებ.

**— შენ დარწმუნებული ხარ, რომ სხვები არ იღებენ?**

– არ ვიცი, მე ვარ დარწმუნებული ჩემს თავში და ნამდვილად ვიცი, რომ ხელფასის გარდა არაფერს არ ვიღებ. თუ დანარჩენები იღებენ, ეგ უკვე სხვა საკითხია. 2012 წლამდე ბიძინა ივანიშვილი 1500-2000 ლარს აძლევდა მსახიობებს, სპორტსმენებს, რეჟისორებს და ასე შემდეგ. შეიძლება ამ ხალხს მეტიც ეკუთვნის, მაგრამ სად 2 ათასი ლარი და სად – 10 ათასი დოლარი? თუ ამ ადამიანებს ბატონმა ბიძინამ ეს თანხები დაუტოვა, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. მე სხვის ჯიბეში არ ვიყურები, მაგრამ როცა მე ცილს მწამებენ, ამას აუცილებლად გავაპროტესტებ.

ახლა კი ჩავიხედოთ კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ და გავარკვიოთ, აქვს თუ არა სახელმწიფო მოხელეს დამატებითი თანხის ან საჩუქრის მიღების უფლება? სხვათა შორის, სანამ საჩუქრებზე გადავალთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კანონის 28-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო მოსამსახურე, სანამ მუშაობას დაიწყებს, დებს ფიცს:

„შეგნებული მაქვს რა საჯარო სამსახურში ჩემზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა, ვაცხადებ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს სახელმწიფოს და მის ხალხს, დავიცვა კონსტიტუცია და კანონები, პატივი ვცე სახელმწიფოს ინტერესებსა და ავტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი“.

დამნიშვნელი თანამდებობის პირი ხელს აწერს ფიცის ტექსტს, რომელიც შემდგომ ინახება მოხელის პირად საქმესთან ერთად. ესე იგი, რაც ადრე სამხედრო მოსამსახურეებს ეხებოდათ, ახლა გადმოიტანეს ყოველდღიურ ცხოვრებაში. რაც შეეხება დამატებით თანხებსა და საჩუქრებს, კანონი ასეთ რამეს ამბობს:

„მუხლი 735. ქცევის ზოგადი წესები კორუფციული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად:

1. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

2. თუ გაურკვეველია, საჯარო მოსამსახურეს აქვს თუ არა შემოთავაზებული საჩუქრის ან ნებისმიერი სარგებლის მიღების უფლება ანდა მომსახურებით სარგებლობის უფლება, ის ვალდებულია, განაცხადოს ამის თაობაზე.

3. თუ საჯარო მოსამსახურეს სთავაზობენ არაჯეროვან სარგებელს, ის ვალდებულია:

ა) უარი თქვას არაჯეროვან სარგებელზე;

ბ) შეეცადოს, მოახდინოს ასეთი წინადადების შემომთავაზებელი პირის იდენტიფიცირება;

გ) შეზღუდოს ამ პირთან კონტაქტი და შეეცადოს, დაადგინოს ასეთი წინადადების შემოთავაზების საფუძველი;

დ) თუ შეუძლებელია საჩუქარზე უარის თქმა ან მისი დაბრუნება, საჩუქარი 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცეს შესაბამის სახელმწიფო სამსახურს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს;

ე) გამოიყენოს მოწმეთა ჩვენებები (მათი არსებობის შემთხვევაში);

ვ) შემოთავაზების მცდელობის შესახებ 3 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი ფორმით შეატყობინოს თავის უშუალო ხელმძღვანელს. თუ არ ჰყავს ზემდგომი თანამდებობის პირი, მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს“.



**„როგორც კი პარლამენტში შემოვედით, ჩვენ თვითონ ვთქვით ამ დახმარებაზე უარი, უკვე ძალიან უხერხული გამოდიოდა. მე პირადად 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ არანაირი თანხა აღარ ამიღია. ბატონი ბიძინა მაშინ აფინანსებდა ხელოვნების მუშაკებს და სპორტსმენებს, ვინც საჯარო სამსახურში მოხვდა, ისინი აღარ იღებენ“**

ეს კანონი მიღებულია 2009 წლის 12 ივნისს, სადაც ასევე მითითებულია, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრების 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან. ამ შემთხვევაში უკვე აღარ ფიგურირებს „არაჯეროვანი სარგებელი“, ანუ საეჭვო წარმომავლობის საჩუქარი. დღეს დეპუტატის საშუალო ხელფასი არის 5 ათასი ლარი, რაც წელიწადში გამოდის 60 ათასი ლარი. 60 ათასის 15 პროცენტი არის 9 ათასი ლარი წელიწადში. თუ ამას გავყოფთ 12 თვეზე, მივიღებთ 750 ლარს. ესე იგი, თუკი ბატონი ბიძინა ივანიშვილი მოინდომებს, შეუძლია თითოეულ დეპუტატს ყოველთვიურად აჩუქოს 750 ლარი, ან წლის ბოლოს – 9 ათასი ლარი („კაკრაზ“ ახლაა დრო, ახალი წელი მოდის).

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ნუკრი ქანთარია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, 10 ათას დოლარს კი არა, ის დეპუტატები, რომლებსაც 2012 წლის არჩევნებამდე ეძლეოდათ ბიძინა ივანიშვილის დახმარება, იმასაც აღარ იღებენ: „როგორც კი პარლამენტში შემოვედით, ჩვენ თვითონ ვთქვით ამ დახმარებაზე უარი, უკვე ძალიან უხერხული გამოდიოდა. მე პირადად 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ არანაირი თანხა აღარ ამიღია. ბატონი ბიძინა მაშინ აფინანსებდა ხელოვნების მუშაკებს და სპორტსმენებს, ვინც საჯარო სამსახურში მოხვდა, ისინი აღარ იღებენ, მაგრამ დანარჩენებზე ისევ ვრცელდება, ოღონდ ეს პროგრამა კულტურის სამინისტროში გადავიდა და იქ ნაწილდება. ამ საქმეს „ქართუ ჯგუფი“ გამოეთიშა“.

**ამ კომენტარების შემდეგ „ლეიბორისტები“ მაინც ძველ ჩვენებას „აწვებიან“ და ამბობენ, „ჩვენი ინფორმაცია არის უტყუარი, ოდესლაც „ქართუ ბანკის“ ანგარიშები „ამოიყრება“ და სიმართლეც გაირკვევაო“.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## ვინ უერთდება პრეზიდენტის ინიციატივას?

„ლეიბორისტული პარტია“ პრეზიდენტთან, აფხაზეთის თემაზე კონსულტაციებში მონაწილეობის მიღებას არ გამორიცხავს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი გუგავას განცხადებით:

„ეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ანექსიას შეეხება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ყველა ამ საკითხის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს. ამიტომ, „ლეიბორისტული პარტია“ ამ ყოველივედან გამომდინარე არ გამორიცხავს მსგავსი ფორმატის შეხვედრაში მონაწილეობას“, – აღნიშნა გუგავამ.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის, ფიქრია ჩიხრაძის თქმით, მისი პარტია მსგავს კონსულტაციებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას:

„ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ისედაც ვამბობდით, ქართველ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ერთიანი, კონსოლიდირებული პოზიცია, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიულ საკითხებთან მიმართებაში. პრეზიდენტის გეგმა, როგორც დამოუკიდებელი არბიტრის, ვფიქრობ, მართლაც მნიშვნელოვანია. ჩვენ ჩვენი მოსაზრებები სპეციალური განცხადებით გავავრცელეთ გუშინდელ მოვლენებთან დაკავშირებით. გარკვეული მოსაზრებები გვაქვს ჩამოყალიბებული, მაგრამ, რადგან ასეთი ინიციატივა არსებობს, სჯობს, ეს მოსაზრებები შეჯერდეს, ვიდრე ცალ-ცალკე გამოვთქვამდეთ ჩვენს მოსაზრებებს“, – განაცხადა ჩიხრაძემ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მზად არიან, პრეზიდენტთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ:



„ეს, რა თქმა უნდა, ანექსიაა, ეს სიტუაციას თვისობრივად ცვლის. თუ პრეზიდენტს აქვს რაღაც სხვაგვარი პოზიცია, მის და ჩვენს შეხედულებებში, ჩვენ მხოლოდ გაგვიხარდება და ბუნებრივია, თუ ვინმეს უნდა საუბარი ამ თემაზე, ჩვენ ნებისმიერთან ვისაუბრებთ“, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

პრეზიდენტის მიმართვას ეხმიანება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი: „ამ ერთიანი პოზიციის შემუშავებას, ბუნებრივია, „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“ და პირადად მე მივესალმებით. ნამდვილად მიმაჩნია, რომ, თუ დაგვიანებული არ არის, ეს არის შეხვედრა, რომელიც აუცილებლად შედეგის მომტანი იქნება. ამ შეხვედრის შედეგი მინიმუმ იქნება ის, რომ მოხდება დემონსტრირება იმისა, რომ ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური სპექტრი არის კონსოლიდირებული“, – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მეტრო „ღრმაღელეში“ ახალგაზრდა გოგონა ლიანდაგებში ჩავარდა



მეტროსადგურ „ღრმაღელეში“ ახალგაზრდა გოგონა ლიანდაგებში ჩავარდა. არსებული ინფორმაციით, გოგონა მაშინ ჩავარდა, როდესაც მატარებელი ბაქანზე შედიოდა. თუმცა, ძაბვის გათიშვა დროულად მოხერხდა. შემთხვევის შედეგად გოგონამ სხეულის მცირე დაზიანებები მიიღო. მომხდარის გამო მეტროს მუშაობა რამდენიმე წუთით შეფერხდა. (ნიუპოსტი)

# რატომ ცვლის განათლების სამინისტრო ბაგა-ბაღებში აღზრდის სისტემას?

## რატომ ესწრებოდა პრემიერი განხილვას?

**განათლების სამინისტრომ განათლების სისტემის განვითარების ათწლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოადგინა. რა წერია გეგმაში? რა ქონება უნდა დაუბრუნოს ხელისუფლებამ განათლების სისტემას? რა შეიცვლება სკოლამდელი განათლების სისტემაში? რის მოსწრება შეეძლო მთავრობას და რა არ გააკეთა?**

**„ალიას" ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი:**

– განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის განხილვას ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი, მსოფლიო ბანკისა და გაეროს ოფისის წარმომადგენლები და ასევე ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელი, მათ შორის ქართველი პარლამენტარები. ამ სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე 2015 წლისთვის ახალი პროფესიული განათლების კანონი

**— შეიძლება ვთქვათ, ამ ხელისუფლების დროს რა უნდა გაკეთებულიყო ამ მხრივ და რა არ გაკეთდა?**

– ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებაზე სრულდება მუშაობა, პედაგოგის პროფესიული სტანდარტის შემუშავებაზე მიდის მუშაობა, ასევე პედაგოგის კვალიფიკაციის განსაზღვრაზეც. ყველა პრობლემა თუ ვერა, მთელი რიგი პრობლემები უნდა გადაწყვეტილიყო ამდენ ხანს, მაგრამ ამ ხელისუფლებას აქამდე უნდა გადაეწყვიტა ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

**— კონკრეტულად რა?**

– მთავარი არის ის, რომ ინფრასტრუქტურა სკოლამდელი აღზრდის სისტემაში პრაქტიკულად განადგურებულია: გაყიდული და ლიკვიდირებულია, მითვისებული და დატაცებულია მთელი რიგი შენობები. ანუ სკოლამდელი განათლების დაწესებულებები მცირე რაოდენობითააო, მაჩვენონ ასი კვადრატული თავისუფალი მიწა მაინც თუნდაც ვაკის რაიონში? ან საბურთალოსა და მთაწმინდის რაიონებში? ვერ გავიგე, ამდენი ხანია მოსულები არიან და ამას რატომ არ აქცევენ ყურადღებას?



ციას, ეს ქვეყანა არ უნდა აკმაყოფილებდეს ამ პირობას? შევარდნაძის დროს შენობა-ნაგებობები იყო და მაშინაც ბავშვების ჩართულობა 50% იყო, მაგრამ მერე იმდენი შენობა გასხვისდა და დაიტაცეს, ახლა ძალიან დაბალპროცენტიანი ჩართულობა გვაქვს. კერძო ბაღები რომ არ იყოს გახსნილი, 60-70% ბავშვებისა დარჩებოდა სკოლამდელი განათლების გარეშე. მაინტერესებს, რომ აფიქსირებენ პრობლემებში, რომ ბავშვების დაბალი სასკოლო მზაობააო და განათლების კომპონენტზე არ კეთდება აქცენტი და რესურსები და პროგრამები არ არის დანერგილიო, რომ ამბობენ, როგორ არ არის ტრომ, არსებობს საერთაშორისო სტანდარტი და სად არის ეს სტანდარტი და ნორმატივები? ვისი ტიკიტომარაა მერია? სტანდარტები უნდა იყოს უნიფიცირებული, რასაც ადგენს სახელმწიფო. სრული დეცენტრალიზაცია რომ მოხდა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყველაფერზე გადაიბანა ხელები, არ უნდა იყოს გადანაწილებული პასუხისმგებლობა და მოვალეობები ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროს შორის? თუ აღზრდაზე ხდება ყურადღების გამახვილება და არა განათლებაზე, მაშინ სახელმწიფო რას აკეთებს? დაუბალანსებელ პასუხისმგებლობას აქვს ადგილი, არ არსებობს კვების სტანდარტები, ზენორმულად ამუშავებენ მუსიკის მასწავლებლებს, სანჰიგიენური სტანდარტები ამ რგოლში არ არსებობს, ასევე შრომის ანაზღაურების სტანდარტები და პედაგოგის სტატუსი არ იქნება მიღებული, შეიცვლება ზოგადი განათლების, ასევე სკოლამდელი, უმაღლესი და მეცნიერების განვითარების კანონები და ამის საფუძველზე შემუშავდება სტრატეგიული გეგმა. ჩაირთო წამმზომი, გეგმის განხილვა პერმანენტულად მოხდება. დღეს ვისაუბრებ სკოლამდელ განათლებაზე, რადგანაც ესაა საფუძველი ხარისხიანი განათლებისა. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაში ჯერ ჩამოთვლილია პრობლემები და შემდეგ საუბარია, როგორ უნდა დაიძლიოს ეს პრობლემები უახლოესი ათი წლის მანძილზე. სკოლამდელი განათლების საქმეში სახელმწიფომ პრობლემებად აღიარა: მომსახურების არასათანადო ხარისხი, ბავშვების დაბალი სასკოლო მზაობა, განათლების ეფექტური სისტემის არარსებობა, დაუბალანსებელი პასუხისმგებლობები, განათლების კომპონენტზე დაბალი აქცენტის არსებობა და სხვა. ასევე, სახელმწიფომ დააფიქსირა, რომ არსებობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არასაკმარისი რაოდენობა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემები. ესაა ის ძირითადი ნაკლოვანებები, რაც სახელმწიფომ დააფიქსირა სამთავრობო დონეზე.

ნათქვამი რომაა დოკუმენტში, მაინტერესებს, წინა ხელისუფლებამ რომ შეამცირა და ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, ეს უკანონოდ დახურული და გაყიდული ქონება რატომ არ უბრუნდება ბავშვებს? უფრო სწორად, რატომ არავის აბრუნებინებენ? ხელისუფლება ამას რომ ყველა რეგიონში ხალხს ჰპირდება და განსაკუთრებით თბილისში, სადაც განსაკუთრებული დეფიციტია ბაგა-ბაღების, სადაც 2007 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად 25000 და 30000 ბავშვი რჩება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გარეშე, რა არის ეს? რას აშენებენ? როდის? სად? ქალაქის ცენტრალურ რაიონებში ვაკის, საბურთალოს, ჩუღურეთის, მთაწმინდის, კრწანისის, ისნისა და ძველი თბილისის ტერიტორიაზე ერთიანად დახურულია ბაღები, შეიძლება სამგორისა და გლდანის ტერიტორიაზე კიდევ მოიძებნოს მიწის ნაკვეთები, დანარჩენი სადაა მიწა ბაგა-ბაღის ასაშენებლად? ასეთ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დიდი მოცულობის ტერიტორია, უზარმაზარი ეზო და საიდან იღებენ ამ მიწებს? სტანდარტითაა განსაზღვრული ჰექტარი მიწა ბაგა-ბაღისთვის და რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, მაშინ ხომ უფრო ადვილი იყო უკანონოდ გასხვისებული ბავშვების ქონების ჩამორთმევა „ნაციონალებისთვის"? იმათ ხომ შენობები კი არ აინტერესებდათ, არამედ მიწა, რაზეც დამაგრებული იყო შენობა, აი, ეს მაინც გააკეთონ ახლა, თუ უნდათ, რომ ეს მათი სტრატეგიული გეგმა არ იქცეს ფარატინა ფურცლად. მაინტერესებს, ამ პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში როგორ ასწევს ქვეყანა სკოლამდელი განათლების სისტემაში აღსაზრდელების ჩართულობის მაჩვენებელს, როცა ეს ჩართულობა ასპროცენტიანი უნდა იყოს?

**— კარგად ამიხსენით, რას ამბობთ!**

– საქმე ისაა, რომ პროგრამა შემოდის და, პრაქტიკულად, სავალდებულოა ბავშვმა ეს პროგრამა გაიაროს, სკოლისთვის მზაობა რომ ჰქონდეს და ეს უნდა მოხდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. სკოლამდელი აღზრდა-განვითარება როგორ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი, როცა ხელმისაწვდომობა დარღვეულია? საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და აქტებზე რომ არის მიერთებული ჩვენი ქვეყანა, იგივე ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენდანერგილი? დანერგილია. სკოლამდელი აღზრდის ეროვნული მიზნები, სტანდარტები და პროგრამები მიღებულია, მართალია წინა ხელისუფლების მიერ, მაგრამ ის ხალხი ხომ არც ერთ დონეზე არ შეცვლილა? არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის დონეზე, რომ იგივე ხალხია და იგივე კადრებია უძრავად გახევებული, ახლა ეს დოკუმენტიც ხომ იმავე ხალხმა დაწერა? საერთაშორისო ექსპერტებადაც ხომ იგივე ადამიანები არიან მოკალათებულები? ვაცხადებ, რომ ესაა არა თუ უხარისხო, არამედ დანაშაულებადი პროგრამები, ცხოველებისა და ინსტინქტების დონეზე რომ დაჰყავთ ბავშვები.

**— ხალხი და კადრები თუ იგივეა, ხელისუფლებამ ეს არ იცის? ამ ორი წლის მანძილზე რატომ არ მოხერხდა ამ სტანდარტებისა და პროგრამების გასწორება? ვის და რას ელოდებოდნენ?**

– მე იმ გათიშვის მოწინააღმდეგეც ვარ, რაც ბაღებს გაუკეთეს, თქვენ იცით მუნიციპალიტეტი რას უკეთებდა ბავშვებს? უგულავამ საშინელებები დაატრიალა და მან და მისმა ხალხმა ამაზეც პასუხი უნდა აგონ, ან რა ნორმები აქვთ შემუშავებული, ნახოს ჯანდაცვის სამინისარის განსაზღვრული და ინფრასტრუქტურის სტანდარტი არ არის. აი, ეს შეეძლო ამ ხელისუფლებას ამ პერიოდში გაეკეთებინა. აქედან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. განხილვაზე საუბარი იყო კადრების სიმცირეზე და საქართველოში შეიძლება ამ პრობლემაზე ვისაუბროთ? ხელოვნურად რატომ ქმნიან კადრების ნაკლებობას? ან რატომ არ ამზადებენ ბაგა-ბაღებისთვის მასწავლებლებს? არ დადგა დრო, რომ ილიას უნივერსიტეტი გამოგლიჯონ ბრჭყალებიდან „თავისუფლების ინსტიტუტს"? ყველა თანამდებობაზე იქ ახალი კონკურსები რომ გამოცხადდეს, ეს რატომ არ არის შესული უმაღლესი განათლების კანონში? რატომ არ ხდება ილიას უნივერსიტეტის სრული რეფორმა? და თუ ამ სასწავლებელს არ შეუძლია სკოლამდელი განათლებისთვის მასწავლებლების მომზადება, მაშინ ცალკე გამოიყოს სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი, აი, ესაა გასაკეთებელი.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აფხაზი ერის განადგურების საფრთხე და შემდგომი ნაბიჯი სამაჩაბლოს ანექსიისკენ



დიპლომატი მამუკა ჟღენტი, ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ გადასადგმელ ნაბიჯად აბაშიძე-კარასინის ფორმატის შეჩერებას ასახელებს, რადგან მიიჩნევს, რომ რუსეთის დღევანდელი ქმედება შემდგომში სამაჩაბლოს ანექსიისადმი გადადგმული ნაბიჯი იქნება.

„ეს ხელშეკრულება არის, ოკუპირებული აფხაზეთისა და შემდგომში, ალბათ, სამაჩაბლოს ანექსიისადმი გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. ფაქტობრივად, ხდება აფხაზეთის ოსეთიზაცია. თუ ოსეთში, ფაქტობრივად, არის რუსეთის სამხედრო ბაზა, საოკუპაციო ჯარი და მოსახლეობა უბრალოდ ემსახურება ამ ბაზას, აფხაზეთში განსხვავებული სიტუაცია იყო. ამ ე.წ. ხელშეკრულებით, რომელიც უკანონოა, მაგრამ ამის იმპლემენტაციისა და რეალიზაციის შედეგად, თუ ვინმე დაზარალდება, ეს იქნება აფხაზური მოსახლეობა, ვინაიდან თუ აქამდე დე ფაქტო, მარიონეტული რეჟიმი რაიმე გადაწყვეტილებას იღებდა, ეს რუსეთის კომპეტენციაში გადავა. ეს იქნება აფხაზი ერის განადგურების საფრთხე.

საქართველოსთვის და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, ეს არის უკანონო ხელშეკრულება. მას არავითარი იურიდიული და საერთაშორისო სამართლებრივი ძალა არ გააჩნია. ის შეიცავს საკმაოდ სერიოზულ საფრთხეებს და აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ უფრო აქტიური და ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს, რადგან ეფექტური მექანიზმები დავუპირისპიროთ ანექსიის პროცესს, რასაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს", – აღნიშნავს ჟღენტი.

ჟღენტი მიიჩნევს, რომ არსებულ სიტუაციაში აბაშიძე-კარასინის ფორმატი უნდა შეჩერდეს, რადგან მიუხედავად კონსტრუქციული დიალოგისა რუსეთთან, ჩრდილოელი მეზობელი აგრესიულ პოლიტიკას კვლავ განაგრძობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლილოში ხანძრის შედეგად 5 ოჯახი დაზარალდა



ლილოს დასახლებაში ხანძრის შედეგად 5 ოჯახი საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა. ხანძარი ერთსართულიან საცხოვრებელ სახლში გაჩნდა.

ადგილზე სახანძრო დახმარების 8 ბრიგადა მუშაობდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ისანი-სამგორის გამგებლის მოადგილის განცხადებით, ამ ეტაპზე დაზარალებული ოჯახები ნათესავებთან დაბინავდებიან, ხოლო მოგვიანებით მათ ნაქირავებ სახლებში განათავსებენ. (ნიუპოსტი)

## უმრავლესობის ექვსი ფრაქცია ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტს დაუჭერს მხარს



საპარლამენტო უმრავლესობის შემადგენლობაში შემავალი შვიდი ფრაქციიდან ექვსი, ე.წ. გასაღების კანონპროექტთან დაკავშირებით ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტს უჭერს მხარს.

აღნიშნულ კანონპროექტს მხარს „კონსერვატორები", „ეროვნული ფორუმი", „მრეწველები" დაუჭერენ. ასევე აღნიშნულ პაკეტს მხარს უჭერს უმრავლესობის ყველაზე დიდი ფრაქცია „ქართული ოცნება" და ასევე უმრავლესობაში ახლად გაერთიანებული მაჟორიტარი დეპუტატების ორი ფრაქცია. (ნიუპოსტი)

# ემზარ კვიციანის ადვოკატი პეტრე მამრაძეს სასამართლოში უჩივის

## რა განუცხადა მამრაძემ „ალიას“

კოდორის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის ადვოკატი, ალექსი კობაიძე მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის პატივისა და ღირსების შელახვისთვის, მთავრობის კანცელარიის ყოფილ უფროსს, პეტრე მამრაძეს სასამართლოში უჩივის და სარჩელს მიმდინარე კვირაში შეიტანს.

ცნობისთვის, პეტრე მამრაძემ, ა/წ 24 ნოემბერს, „რეპორტიორის“ პრესკლუბში განაცხადა:

„არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ემზარ კვიციანი პოლიტპატიმარია. მინდა შეგახსენოთ, რომ ემზარ კვიციანი არის ცნობილი კრიმინალური წარსულის მქონე, კოდორის ხეობა, მისი მმართველობის დროს, იყო ნამდვილი პლაცდარმი კრიმინალური აქტივობისთვის, საუბარია ნარკოტიკებზე, იარაღით ვაჭრობაზე... კოდორის ხეობაში, სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ, იარაღის ვეებერთელა საწყობი აღმოჩნდა, რომელიც შეფასდა 23 მილიონ დოლარად. უწყვეტი ნაკადი მოდიოდა იქიდან და მერე ისევ რუსეთში გადიოდა. ძალოვნებისგან მომისმენია ეს. გაიხსენეთ მისი სატელეფონო საუბრები კუპალბასთან, აფხაზეთის ე.წ. მთავრობის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, სადაც კუპალბა მას ჯარით დახმარებას სთავაზობს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. ასევე, გაიხსენეთ, უკვე რუსეთში გადასული, მაშინ, როცა უკვე აქვს, მე როგორც ძალოვანებისგან მომისმენია, „გრუ“-ს აქტიური აგენტის სახელი, ყვება, რომ, როცა ის, კოდორის ხეობაში, აქტიურ ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობდა, ჩამოგლიჯა ნიღაბი ერთ-ერთ შემოსულს და ის აღმოჩნდა შავკანიანი. ამერიკელები გვებრძოდნენო სვანებს კოდორში, რუსულად ამბობს კვიციანი. რატომ ამბობს? იმიტომ, რომ რუსეთის სპეცსამსახურების ვერსია, რომ აქ არიან ამერიკელები და ისინი აკეთებენ ყველაფერს, რუსებს სჭირდებოდათ და ეს დავალება შეასრულა კვიციანმა.

სხვა საქმეა ის, რომ ეს სპეცოპერაცია, არ უნდა ჩატარებულიყო იმ დანაშაულებრივი მასშტაბით და ფორმით, როგორ ეს ოქრუაშვილმა, სააკაშვილმა და სხვებმა ჩაატარეს... მერე უკვე სააკაშვილმა დიდი დანაშაული ჩაიდინა და სანატრელი გახდა ის დრო, როცა კვიციანი იყო კოდორის ხეობის რწმუნებული და ხეობა იყო საქართველოს დაქვემდებარების ქვეშ. მაგრამ არც ის დავივიწყოთ, რა ხდებოდა კოდორის ხეობაში, როცა ემზარ კვიციანმა პირდაპირი დაუმორჩილებლობა გამოუცხადა საქართველოს ხელისუფლებას, ანუ ამბოხი, რაც მთელ მსოფლიოში ისჯება უსასტიკესად, სასჯელის უმაღლესი ზომით. ასევე, გავითვალისწინოთ, რომ ეს იმ დროს ხდება, როცა ჯერ კიდევ არ აქვს დანაშაულები ჩადენილი ყოფილ ხელისუფლებას და არ აქვს დაკარგული ლეგიტიმურობა, რაც მოხდა, მერე მოხდა. გაიხსენეთ ასევე „ვარდების რევოლუციამდე“ მთავრობის წევრების დატყვევება, ასევე ის, როგორ იტაცებდნენ მისი დავალებით გაეროს თანამშრომლებს და მერე როგორ ჩამოდიოდა ცნობილი კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი, რომელსაც აეროპორტში კორტეჟით ხვდებოდნენ, როგორც უცხო ქვეყნის პრეზიდენტს, რომელსაც გავლენა უნდა ჰქონოდა ასევე კანონიერ ქურდ კვიციანზე, რომელსაც უნდა გამოეშვა გაეროს თანამშრომლები. ამ დროს კი ონიანის ინტერესი იყო მისი წილები, რომლებიც უნდა გაენაწილებინა სხვადასხვა ბიზნესში და ჩამოსვლისთვის სჭირდებოდა საბაბი. აი, ასეთ დანაშაულებრივ ქსელთან გვქონდა მაშინ საქმე და გავყოთ ეს ყველაფერი, ვიყოთ ობიექტურები“. – განაცხადა მამრაძემ.


ალექსანდრე კობაიძე

**„ალიას“ ემზარ კვიციანის ადვოკატი, ალექსანდრე კობაიძე ესაუბრა:**

– პეტრე მამრაძემ ემზარ კვიციანს წაუყენა ძალიან მძიმე ბრალდებები. მან, ფაქტობრივად, ემზარ კვიციანი წარმოაჩინა, როგორც რუსულ სპეცსამსახურებზე მომუშავე პირი, აგენტი, ასევე, მან გაეროს დამკვირვებლების გატაცებაში დაადანაშაულა ემზარ კვიციანი, საბოლოო ჯამში, მან ისე დასახა ემზარ კვიციანის ფიგურა, თითქოს, ის წარსულში კრიმინალი იყო. ჩვენ ვაპირებთ, რომ ეს საკითხი სამართლებრივ ჭრილში გადავიტანოთ, სასამართლოში შევიტანთ სარჩელს პატივისა და ღირსების შელახვისთვის.

**— მოგების შემთხვევაში, რას მოითხოვთ პეტრე მამრაძისგან?**

– მოვითხოვთ, ზარალის შესაბამის მატერიალურ კომპენსაციას, რომელიც შეიძლება სიმბოლურიც კი იყოს, ოჯახთან შევათანხმებთ ამ საკითხს და ასევე მოვითხოვთ საჯარო ბოდიშს პეტრე მამრაძისგან. მას ძალიან გაუჭირდება, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადება დაასაბუთოს, იმიტომ, რომ მსგავსი ფაქტები არასდროს მომხდარა. ემზარ კვიციანი, არასდროს ყოფილა ადამიანის გამტაცებელი, არ ყოფილა რომელიმე ქვეყნის აგენტი.

**— თუ მოახერხა თავის გამართლება, მაშინ რას აპირებთ?**

– მაშინ მე, როგორც ემზარ კვიციანის ადვოკატი, საჯაროდ მოგიხდით ბოდიშს, თუმცა 99%-ით ვარ დარწმუნებული ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სიმართლეში.

**— ემზარ კვიციანზე, ბოლო დღეებში, არამარტო პეტრე მამრაძეს გაუჟღერებია უარყოფითი განცხადებები და იმ ფაქტებს რას უშვრებით?**

– არც ისინი გამოგვრჩება. კიდევ არის რამდენიმე ადამიანი, ასეთია, მაგალითად, ირაკლი ფირცხალავა. არ დაგვვიწყებია ირაკლი ოქრუაშვილი და მის მიერ ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში გაკეთებული განცხადება. კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც ახლა შეგნებულად არ ვასახელებ, თუმცა, სიტყვას ვდებ, რომ ყველას მოუწევს სასამართლოში ამტკიცოს, რამდენად არის კრიმინალი და მოღალატე ემზარ კვიციანი. კანონის შესაბამისად აგებს პასუხს ყველა. არავის არ შევარჩენთ იმას, რომ მართალ ადამიანს ცილი დასწამონ. პასუხს აგებს ყველა, ვინც შეეცდება, პატივი და ღირსება შეულახოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავუსვათ წერტილი იმას, რომ ასე, უსაფუძვლოდ ბედავდნენ ადამიანები ვინმეს მიმართ ბრალდებების წაყენებას. არადა, უკვე მერამდენედ სწამებენ ცილს ემზარ კვიციანის ოჯახს, თვითონ ემზარ კვიციანს...



**„ალია“ „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს, პეტრე მამრაძეს დაუკავშირდა:**

– მე ბრიფინგზევე აღვნიშნე, რომ ის, რასაც ვყვებოდი, მოსმენილი მქონდა ძალოვანი სტრუქტურების მაშინდელი ხელმძღვანელებისგან. სწორედ ისინი საუბრობდნენ ემზარ კვიციანის კრიმინალურ წარსულზე, ისინი საუბრობდნენ ასევე ემზარ კვიციანის კავშირზე რუსულ სპეცსამსახურებთან... ეს ყველაფერი, მე მაქვს მოსმენილი და ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ მქონია და არც მაქვს, რაც მე ამ პრესკონფერენციაზევე აღვნიშნე. ეს ჩანაწერი არსებობს და გამოვიყენებ. გარდა ამისა, მე აღვნიშნე, რომ მთელმა საქართველომ მოისმინა, კუპალბას საუბარი კვიციანთან, მათ შორის საუბარი ირაკლი ბათიაშვილთან, ასევე ვთქვი, რომ კვიციანი ატყუებდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და იტაცებდა... ვახსენე გაეროს თანამშრომლების გატაცება... აქვე, მინდა შეგახსენოთ, ემზარ კვიციანის განცხადება რუსულ ენაზე, რომ მან ერთ-ერთ ხელჩართულ ბრძოლაში ნიღაბი ჩამოგლიჯა მოწინააღმდეგეს და იმ ნიღაბის ქვეშ აღმოჩნდა შავკანიანი, ეს მრავალჯერ ნახა მთელმა საქართველომ და მე ეს აღვნიშნე. ეს არის ყველაფერი ის, რის მოწმეც ჩვენ, ყველა ვიყავით და გვესმოდა. მე არ მაქვს არანაირი საქაღალდე, სადაც თავს მოვუყრიდი შესაბამის საბუთებს, ეს ჩემი საქმე არ ყოფილა, რადგან მე ვიყავი, მთავრობის კანცელარიის უფროსი, მაგრამ რაც მესმოდა იმ პერიოდში, ყველაფერი ზუსტად გადმოვეცი.

**— როგორც აღნიშნავთ, არანაირი დოკუმენტური მტკიცებულება არ გაგაჩნიათ, როგორ ფიქრობთ, როგორ შეძლებთ თავის მართლებას სასამართლოს წინაშე?**

– მე არ ვარ იურისტი, რა თქმა უნდა, ავიყვან ადვოკატს და შემდეგ უკვე შესაბამის პროცესში გაირკვევა, რა უნდა მოვიმოქმედო.

**— ემზარ კვიციანის დაცვის მხარე თქვენგან ბოდიშის მოხდას იმავე ფორმით ითხოვს, რა ფორმითაც ემზარ კვიციანზე განცხადება გააკეთეთ. იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებთ თქვენი განცხადების სამართლიანობას, რას იზამთ, მოიხდით ბოდიშს საჯაროდ?**

– მე კანონმორჩილი ადამიანი ვარ და ვიმოქმედებ სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. გულწრფელად რომ გითხრათ, არ მაქვს სასამართლოების გამოცდილება, 62 წლის კაცი ვარ და ჯერ არავის უჩივლია ჩემთვის სასამართლოში და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვლაპარაკობ სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს. მაგრამ მზად ვარ, ვიყო ნიმუში და დავემორჩილო იმ გადაწყვეტილებას, რასაც სასამართლო გამოიტანს.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



### „თბილისი ამ რკინიგზის აღდგენის წინააღმდეგი არც არასოდეს ყოფილა“

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი რუსულ მედიაში სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე საუბრობს და აცხადებს, რომ „თბილისი ამ რკინიგზის აღდგენის წინააღმდეგი არც არასოდეს ყოფილა“.

პუტინის იდეის მთავარი მიზანი რუსეთისა და სომხეთის სარკინიგზო ტრანზიტით დაკავშირებაა. სოხუმი-თბილისის რკინიგზასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტმა აფხაზეთის ე.წ პრეზიდენტთან რაულ ხაჯიმბასთან სოჭში შეხვედრის დროს ისაუბრა და განაცხადა, რომ საერთო შეთანხმების საფუძველზე რკინიგზის აღდგენაზე ფიქრიც შესაძლებელია. (ნიუპოსტი)

### ვოლსკი უმრავლესობაში არსებულ უთანხმოებაზე



ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი უმრავლესობაში დაპირისპირებას უარყოფს.

„პროფესიონალურად თუ ცოტა დავიძაბეთ და ვიკამათეთ, ამაში საზოგადოებისთვის ცუდი არაფერია. რაც შეეხება იმას, რომელ კანონპროექტს ვუჭერ მხარს, ვფიქრობ, რომ სრულყოფილია ის ვარიანტი, რომელიც ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილმა წარმოადგინეს. ამ კანონპროექტში უფრო დახვეწილია ადამიანის უფლებისა და სახელმწიფო დაცვის მექანიზმი“, – განაცხადა ვოლსკიმ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### პატიმარი რუსთავის №6 საპატიმროში არსებულ სისასტიკეზე საუბრობს



სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდადებული ციხეებში არსებულ სისასტიკეზე საუბრობს. მისი თქმით, დაწესებულებაში არ არსებობს ელემენტარული სანიტარიული პირობები, შენობა ამორტიზებულია, პატიმრებს კი სასტიკად სცემენ.

„აქ არის საშინელი პირობები, არანაირი ჰიგიენური საშუალება, არანაირი აბანო, ციხე დანგრეულია. სცემენ, კლავენ ხალხს. კარცერებში ალპობენ ხალხს. მიმიყვანეს იმ ზომამდე, რომ თითი მოვიჭერი. არც შემიხვიეს, არც არაფერი, თითი გადამაგდებინეს“, – აცხადებს პატიმარი. (ნიუპოსტი)

# რის გამო მოხსნიან ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას?

**ექსპერტი საბანკო საკითხებში ლია ელიავა აცხადებს, რომ საქართველოში სახიფათო ტენდენციებია ეკონომიკის სფეროში: „ლარის კურსის ვარდნა მძიმე შედეგების მომტანი იქნება, საქმე ისაა, რომ ეროვნულ ბანკს თანდათან ეწურება რეზერვი, თუმცა ტრაგედია ისაა, რომ ეროვნულმა ბანკმა ამოიღო ფული ფასიანი ქაღალდებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ მოემზადა უარესი მდგომარეობისთვის და შეინახა უცხოური ვალუტა. კომერციული ბანკების საქმიანობა იწვევს ლარის კურსის გაუფასურებას, აბსოლუტურად გასაიდუმლოებულ პირობებში ხდება ლარის კურსის ცვლილება. რატომ მერყეობს პერიოდულად ლარის კურსი? იმიტომ, რომ კომერციულ ბანკებს გააქვთ საზღვარგარეთ ფული. ლარის კურსი მართვადია და ეს იწვევს ლარის გაუფასურებას, თუმცა ეს პროცესი არ არის ტრაგიკული და მძიმე და სხვა ქვეყანა ვერც კი იგრძნობდა ამას, მაგრამ, რადგან საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია იმპორტზე, ამას საზოგადოება მძიმედ აღიქვამს“.**

**შეაჩერებს თუ არა ეროვნული ბანკი ლარის ვარდნას? რა ბერკეტები აქვს სახელმწიფოს, რომ სიტუაცია არ გაუარესდეს? რამდენია რეალურად ინფლაცია და რის გაკეთება შეუძლია მთავრობას?**

**„ალიას“ ლია ელიავა ესაუბრა:**

**— ქალბატონო ლია, ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით ხელისუფლების დამაჯერებელი არგუმენტები ვერ მოვისმინეთ. რა სახიფათო ტენდენციებს გულისხმობთ?**

– საქმე ისაა, რომ ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკა აბსოლუტურად დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და არამხოლოდ ეკონომიკა, ქვეყნის მოსახლეობაც, იმის გამო, რომ ეკონომიკა სტრუქტურულად არასრულფასოვანია, წარმოება პრაქტიკულად არ გვაქვს, ასეთ პირობებში ლარის კურსის მცირეოდენი რყევაც კი მომენტალურად იწვევს ფასების ცვლილებას. როცა ლარი იწყებს ვარდნას, ამ დროს იმპორტიორ ქვეყანაში ხდება გადათვლა ამ საქონლის ღირებულების ლარში, მაგრამ საქმე ისაა, რომ, როცა იმპორტიორები არ ენდობიან არსებულ მონეტარულ ხელისუფლებას – ეროვნულ ბანკს და ვარაუდობენ, რომ შეიძლება, გაგრძელდეს ლარის ვარდნა, ისინი ფასს უმატებენ არა ვარდნის კურსით, არამედ უფრო მეტად, ანუ საქონლის ფასი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ლარი ვარდება. ჩნდება მოლოდინი, რომ, თუ ლარი გამყარდა, საქონლის ფასიც უნდა დაეცეს, მაგრამ პრაქტიკაში ასე არ ხდება. პრაქტიკულად, ლარის ვარდნა იწვევს მდგრად ინფლაციას, ანუ ფასების საერთო დონის ზრდას. ამიტომაა ეს ტენდენცია არის სახიფათო, რადგან ამას თან სდევს მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება და მისი კეთილდღეობის გაუარესება.

საქმე ისაა, რომ შარშან იყო მცდელობები, რომ ფინანსთა სამინისტროს ხარჯებისთვის გადაებრალებინათ ლარის კურსის ვარდნა. სინამდვილეში ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან ბიუჯეტის თანხები იხარჯება ეტაპობრივად და მთლიანადაც რომ გამოიტანონ თანხა ბაზარზე, საქართველოს ეკონომიკას იმდენად აკლია ლარი და იმდენად დაბალია ქვეყნის ეკონომიკის მონეტიზაციის კოეფიციენტი, რომ, რაც არ უნდა დიდი ოდენობის ლარი შემოვიდეს, ეკონომიკა მას შეისრუტავს. ქვეყანას სჭირდება ფული, რომ ბიზნესპროცესებს მოემსახუროს. საბიუჯეტო სახსრები არის ეკონომიკაში გამომუშავებული თანხები, რომელიც არასდროს არაა ინფლაციური. აქ სხვა მომენტია, წლის ბოლოსთვის კომერციული ბანკები კლიენტების დავალებით ან საკუთარი საჭიროების მიხედვით გადარიცხავენ დიდი ოდენობით თანხებს უცხოეთში, ანუ ფული გაედინება ქვეყნიდან.

**— რა ფულია ეს?**

– საქართველოში მეტი წილი შემოსული ფულისა, იქნება ეს ინვესტიციები თუ სხვა, მოდის უცხოეთის ქვეყნებიდან, ძირითადად ოფშორებიდან. მათ აქ იმუშავეს, მოიგდეს ქაფი, ანუ მოგება და ახლა ეს მოგება უნდა გაიტანონ საზღვარგარეთ იმ მიზნით, რომ ის არ დაიბეგროს. ამ გზით ეს ფული გადაიმალება. ეს ახასიათებს ყველა ქვეყანას და ყველა ებრძვის ამ პროცესს. საქართველოში კი პირიქითაა, კი არ ებრძვიან, აძლევს საშუალებას, რომ ფული არა მხოლოდ გაიტანონ, გაასეირნონ და გამოასეირნონ კიდეც.

**— ახლა კონკრეტულად რამ გამოიწვია ლარის ვარდნა?**

– მხოლოდ და მხოლოდ კომერციული ბანკების მხრიდან გაზრდილმა მოთხოვნამ უცხოურ ვალუტაზე. როცა მათი მხრიდან ასეთი გაზრდილი მოთხოვნა ფიქსირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი გადაცვლითი ოპერაციები ლარზე იზრდება და ლარი ვარდება. ეს არის მხოლოდ კომერციული ბანკების მიერ დაგეგმილი ქმედების შედეგი.

**— და რას გვიკეთებს ეროვნული ბანკი ამის ფონზე?**

– აი, ესაა საქმე. გასულ წელს ორ კვირაში 8 მილიარდი დოლარი დახარჯა მხოლოდ იმიტომ, რომ სავალუტო კურსის ვარდნა შეეჩერებინა, ამას წინათ კი დიდი ზარ-ზეიმით და სიამაყით აცხადებდა, რომ საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობა ისტორიული მოცულობისაა და 3 მილიარდი გვაქვსო. 2 კვირაში 2.5 მილიარდი დოლარი გახდა. ხელში არ დარჩა ნაღდი თანხა, რადგან ძირითადი თანხა იყო ფასიანი ქაღალდების სახით, ახლა ამ ქაღალდების წილი შეამცირა და დატოვა მილიარდ-ნახევარი. 700-800 მილიონი აქვს დოლარის სახით. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეროვნულმა ბანკმა იცოდა, ეს პროცესები რომ წავიდოდა და შინაგანად შეემზადა იმისთვის, რა შედეგიც მოჰყვებოდა კომერციული ბანკების აქტივობას წლის ბოლოს და დაიგროვა 800 მილიონი. მაგრამ ეს ფული მხოლოდ 2 კვირა თუ გვეყოფა, ვარდნა თუ გაგრძელდა. ფაქტია, აშკარად მომზადებული დახვდა ეროვნული ბანკი, იმიტომ, რომ ერთი მილიარდის ფასიანი ქაღალდები მოიცილა და ფულში გადაიყვანა. ეროვნულ ბანკს აქვს ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტები იმისთვის, რომ ქვეყანაში ლარის კურსი სტაბილური იყოს.

**— მერე რატომ არ იყენებს ამ ბერკეტებს?**

– პირველი ბერკეტი მისი დაფარული საქმიანობაა, ანუ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეროვნული ბანკი შეეცადა ლარის გამყარებას იმით, რომ შეამცირა მისი მოცულობა, ანუ ამოიღო ის კომერციული ბანკებიდან. ამის ინსტრუმენტები აქვს ეროვნულ ბანკს. მეორე – ეროვნულ ბანკს, როგორც მარეგულირებელს, მომრიგებელსა და ყველაფრის ნებართვის გამცემს, ელემენტარულად შეუძლია, კომერციული ბანკები გააკონტროლოს, სად მიდის, რა ფული მიდის და ვისი დავალებით მიდის.

**— და რატომ არ აკეთებს ამას?**

– ეს არის ზედამხედველობის განევის არაადეკვატურობის ბრალი. არ არის მისი მცდელობა ეფექტური, კომერციული ბანკები მიშვებულები არიან. აგერ არიან მიკროსაფინანსოებიც, მაგრამ ქვეყნებს კომერციული ბანკები სჭირდებათ იმისთვის, რომ, ფაქტობრივად, ჰაერიდან ქმნიან ისინი ფულს. ყველა ქვეყანაში კომერციული ბანკები მკაცრად რეგულირდება, საქართველო გამონაკლისია.

**— რა გამოდის, საქმე გვაქვს ეკონომიკურ საბოტაჟთან? სახელმწიფოს რა ბერკეტი აქვს, რომ ეს პროცესები შეაჩეროს?**

– დიდი შეცდომა იქნა დაშვებული, როცა არ გამოიცვალა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა. ეს მენეჯმენტი ძალიან სუსტია. მათ კანონით ევალებათ ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ამას არ ასრულებენ. კანონით ევალება ასევე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. პრაქტიკულად, კანონს არ ასრულებენ. რა ბერკეტიც აქვს ეროვნულ ბანკს, იმასაც ვერ იყენებს ეფექტურად. ქვეყანაში 6% გვაქვს ინფლაციაო, ამბობენ, ასე რომ იყოს, ეკონომიკა სწრაფად განვითარდებოდა, მაგრამ 6% ინფლაცია საერთოდ არ გვქონია, ეროვნულ ბანკს ის გაურბის 14.5%-მდე.



ახლა სიტუაცია ასეთია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი არ დაუშვებს ლარის ძლიერად ვარდნას, ამიტომ ეროვნული ბანკი გამოიყენებს თავის სავალუტო რეზერვებს, ვარდნა შეჩერდება, მაგრამ, თუ სიტუაცია დამძიმდება, ეს იქნება ეროვნული ბანკის ბრალი. მას შეუძლია 800 მილიონის დახარჯვა ვარდნის შესაჩერებლად. ასეთი სიტუაცია გაგრძელდება ყოველ წელს, თუ უწყებაში მუშაობის სტილი არ შეიცვლება, უნდა იქნას გააზრებული, რა სჭირდება ქვეყნის ეკონომიკას. მარტო მთავრობის მცდელობა, რამე გააკეთოს, იქნება აბსოლუტურად უშედეგო, თუ მას ეროვნული ბანკი გვერდით არ დაუდგება.

**კომენტარისთვის „ალია“ ეროვნული ბანკის პრესცენტრის ხელმძღვანელს, კახა ბარაბაძეს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, აკონტროლებს თუ არა ეროვნული ბანკი კომერციული ბანკებიდან თანხის უცხოეთში გადინებას და რას აპირებენ ლარის კურსის დასტაბილურებისთვის, მაგრამ მან კომენტარისგან თავი შეიკავა.**

ჟანა ასანიძე

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...



## „საქართველოს პროკურატურამ ხაჯიმბა საერთაშორისო ძებნილად უნდა გამოაცხადოს“

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციების გამართვაზე „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი, პაატა დავითაია ეხმიანება:

„მე მაქვს სპეციალური გეგმა, იმასთან დაკავშირებით, რა უნდა გაკეთდეს, იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც ამ თემატიკაზე მუშაობის პერიოდში დავაგროვე. გამოვყოფდი ორ პუნქტს ამ მიმართულებით:

პირველი – უნდა გაიცეს სანქციები საქართველოს პროკურატურის მიერ და საერთაშორისო ძებნაში გამოცხადდნენ რაულ ხაჯიმბა და ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციური წყობილების რღვევას უწყობენ ხელს.

მეორე – აუცილებლად გაგზავნილი უნდა იყოს მესიჯები მოსახლეობისადმი, საუბარია აფხაზეთის მოსახლეობაზე და არა ხელისუფლებისადმი. უნდა მოხდეს გამიჯვნა, დღეს საქართველოში, აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებასა და ხალხს ერთად განიხილავენ, ასე არ უნდა მოხდეს, ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ეს ყველაფერი და ხალხს შევთავაზოთ მაქსიმალური უფლებები. ვუთხრათ, რომ რუსეთთან ურთიერთობით დაკარგავენ ყველაფერს. ამით აფხაზმა მოსახლეობამ უნდა ნახოს, რომ საზოგადოებას არ აქვს პრობლემა, პრობლემა აქვს იმ ხალხს, ვინც აფხაზეთს უფსკრულისაკენ მიაქანებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ რაღაც შედეგი იყოს მიღწეული. ძალიან მძიმე სიტუაციაში ვართ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ აფხაზეთით და ცხინვალით შეჩერდება ყველაფერი, ძალიან ცდება. შემდეგი ჯავახეთია, შემდეგი კი თბილისი“, – განაცხადა დავითაიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „კაბელების საქმეზე“ გრიფი „საიდუმლო“ მოიხსნა



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ნაწილობრივ მოეხსნა. მთავარი პროკურატურის განცხადებით:

„გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეიცავს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საიდუმლო ინფორმაციას, გრიფირებულ მასალებს, რომელიც, პროკურორის თქმით, მთლიანი სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ 7%-ს შეადგენს, ადვოკატებს წესების დაცვით გააცნობენ, ხოლო დანარჩენ მასალებს გადასცემენ“, – განაცხადა პროკურორმა კოკა კაციტაძემ.

პროკურატურა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვას ედავება. ამ ბრალდებით საგამოძიებო ორგანომ 28 ოქტომბერს თავდაცვის სამინისტროს 5 მაღალჩინოსანი დააკავა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## „რამე თუ არ მოიფიქრეს, ქალაქში გადაადგილება შეუძლებელია“ — საცობის მსხვერპლი ცნობილი ქალბატონები



ბოლო დროს ჩვენს ქალაქში საცობი ძალიან ბობოქრობს. ადამიანებს საათობით უწევთ ქუჩაში გაჩერება, რაც დროის უაზრო კარგვა და ზედმეტი გაღიზიანებაა.

გამოუვალი მდგომარეობა, ზოგადად, არ არსებობს და ალბათ, ამ ჯადოსნური საცობისგანაც შეიძლება თავის დაღწევა, მაგრამ ამაზე როგორც ჩანს, ჯერ სერიოზულად არავინ ფიქრობს, ან ფიქრობს და ვერ აგვარებს.

ბოლო დროს სააკაძის მოედანი იქცა საცობის ეპიცენტრად. აქაც რომ გაეკეთებინათ ერთი ესტაკადა, იქნებ ცოტა საშველი მაინც გვქონოდა?

ხშირად საცობს წვიმასაც აბრალებენ, არაკვალიფიციურ მძღოლებს, გაუმართავ ავტომანქანებს, გზას და კიდევ ქალ მძღოლებს, რომლებიც მართლაც მომრავლდნენ.

ამჯერად საკმაოდ გამოცდილ მძღოლ ქალბატონებს შევეხმიანეთ და ამ მწვავე თემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება ვთხოვეთ.

**ლალი მოროშკინა:**

– ამას წინათ დაახლოებით სამი საათის განმავლობაში ვიყავი საცობის მსხვერპლი. ეს იყო დრო, ზუსტად გამეანალიზებინა, რაშია საქმე. როგორც გამოცდილმა მძღოლმა, შემიძლია ვთქვა, რომ, თუ მანქანა ოდნავ მაინც გაუმართავია, საცობისმაგვარ სიტუაციაში, სადაც ხშირად გიწევს მუხრუჭის გამოყენება, ის მწყობრიდან გამოდის. მაგალითად, სააკაძის მოედანთან, მინიმუმ 30 კაპოტახდილი მანქანა მაინც იდგა, რაც კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას.

საცობი, ჩემი დაკვირვებით, განპირობებულია სატრანსპორტო საშუალებების მოზღვავებითაც, ეს არ ეხება გზების გაუმართაობას, არც წვიმით გამოწვეული პრობლემაა, საქმე გვაქვს უმეტესად, გამოუცდელ მძღოლებთან. ამასთანავე, საჭესთან ქალბატონები მომრავლდნენ, ასევე ბევრი ასაკში შესული, მაპატიონ და, მოხუცი მძღოლია, რომელთაც საჭესთან რეაქციები შენელებული აქვთ. წვიმიან ამინდში კი განსაკუთრებით უჭირთ სიტუაციასთან გამკლავება...

საცობი მარტივად დაიძლეოდა, ერთმანეთის დათმობის კულტურა რომ არსებობდეს. აქ ამბავი იმაზეა, გზაზე ვინ ვის გადაუსწრებს. გუშინ საცობში სკოლებიდან გამოსული ბავშვების მიკროავტობუსები იყვნენ გაჭედილები. მათ რომ ვუყურებდი, ტირილი მინდოდა, ამდენი მცირეწლოვანი ბავშვი იჯდა ტრანსპორტში და ელოდებოდა, როდის გაიხსნებოდა გზა. სააკაძის მოედანზე ერთი-ორი ასეთი მანქანა გავატარე, რამდენიმემ კი სპეციალურად გადაუხერგა.

ასეთ დროს პანიკა არ მახასიათებს, რადგან რაც არ უნდა ინერვიულო, ვითარებას ვერ განმუხტავ და მეც ცოტა განვიტვირთე, გუშინვე საცობს იუმორითაც შევხედე... ვფიქრობ, რომ ასეთ სიტუაციაში სკოლის ავტობუსებს მაინც უნდა აცილებდეს საპატრულო პოლიცია. სამწუხაროა ასევე, რომ „სასწრაფოს“ მანქანების გატარების კულტურაც არ არსებობს. მოკლედ, შორს ვართ ფაქტებისა და მოვლენების კულტურული აღქმისგან, თუნდაც საცობის, რომელიც ცივილიზაციის თანამდევია.

**ნინა წკრიალაშვილი:**

– გარეთ გასვლა აღარ მინდა, დილიდანვე პიკის საათია. რამე თუ არ მოიფიქრეს, ქალაქში გადაადგილება შეუძლებელია. ამას წინათ სააკაშვილი ერთ-ერთ ჩართვაში რაღაც რჩევას აძლევდა ბატონ ნარმანიას და იქნებ მონახონ ის მასალა. ვცადოთ, შესაძლოა ქუჩები განიტვირთოს? ჭკვიანი კაცია სწორი გეგმა ექნება.

ამ ყველაფრის მიზეზი კი ბევრი მანქანა და არასწორი მარშრუტი მგონია და კიდევ ის, რომ ყველა სამსახური არ უნდა მთავრდებოდეს ერთსა და იმავე დროს. ზოგი უნდა მთავრდებოდეს 6 საათზე, ზოგი – 7-ზეც და კიდევ შეიძლება რამის მოფიქრება. ასევე, სინათლეც უნდა იყოს სტაბილურად, რომ შუქნიშანი არ იყოს გათიშული...



**ნინო გაჩეჩილაძე:**

– საცობზე რა უნდა ვთქვა? ნერვები აღარ მყოფნის. ამ ყველაფრის გადამკიდემ, ლამის ფეხით ვიარო... ასევე მფრინავ „მანქანაზეც“ ვოცნებობ, – ეს იუმორით რომ გიპასუხოთ, ასეა.

ახლა სერიოზულად რომ ვთქვა, ალბათ, თბილისის მერიამ რაღაც უნდა მოიმოქმედოს, თორემ თბილისი მალე საცობებით მოსკოვს გაასწრებს.

გუშინ საღამოს მეც აღმოვჩნდი ამ საშინელების ტყვე. „რუსთავი 2“-ში მივდიოდი და გადაღებაზე დამაგვიანდა...

**ლიზა ვადაჭკორია:**

– ზაფხულში ბარსელონაში ვიყავი, სადაც ტურისტები მოსახლეობაზე მეტია. ზღვა ხალხი დადის, მაგრამ საცობები იქ არ არის. იცით, რატომ? უძველესი ქალაქის მიწისქვეშ უზარმაზარი პარკინგებია გაკეთებული და შესაბამისად, ქუჩაში მდგარ მანქანას ვერ დაინახავ...

ჩვენთან ახალ კორპუსებს რომ აშენებენ და მიწისქვეშა პარკინგები არ არის გაკეთებული, ეს ვის გაუგია?!

თან ცენტრში არ უნდა შენდებოდეს მაღალსართულიანი შენობები. თითოეულს პარკინგი უნდა ჰქონდეს და ქუჩაში პარკინგი აიკრძალოს. უნდა დაემატოს ესტაკადები...

მოკლედ, მერიას ბევრი სამუშაო აქვს, თუ სურვილი ექნებათ, გამოსავალიც მოიძებნება. ევროპის მაგალითი უნდა ავიღოთ და ყველაფერი მოგვარდება...

**ლიკა ყაზბეგი:**

– ჩემი აზრით, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ვისაც ევალება გზებისა და ტრანსპორტის რეგულირება, სათანადოდ ვერ ასრულებს მოვალეობას. ამ სამსახურის არაპროფესიონალიზმის გამოა, რომ ქალაქში ასეთი საცობებია და ალბათ, მანქანების რაოდენობაც მომრავლდა. ეს არის რეალობა. გუშინ საცობში ვაკეში მოვყევი და ძალიან დიდხანს მივდიოდი დანიშნულების ადგილამდე.

***ambebi.ge***

## ნუცა ბუზალაძის დიეტა — როგორ ებრძვის ზედმეტ კილოგრამებს მომღერალი



მომღერალი ნუცა ბუზალაძე გასულ კვირას „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ გამოეთიშა. რეპეტიციის დროს ფეხი მოიტეხა. მიუხედავად იმისა, რომ ნუცა პროექტში მონაწილეებიდან ყველაზე პუტკუნა იყო, მაინც უმაღლეს შეფასებებსა და ქულებს იღებდა ჟიურისგან. გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, როგორ ახერხებს ნუცა სპორტულ ფორმაში ყოფნას.

– ვარჯიში და ჰიპ-ჰოპის ცეკვა 13 წლის ასაკიდან დავიწყე. მკაცრ დიეტებს არასდროს ვიცავ. ძალიან მიყვარს ჭამა. როცა ძალიან მჭირდება დაკლება, იმ შემთხვევაში ვიცავ დიეტას. არ მიყვარს პური. ცომეულს საერთოდ არ ვჭამ...

ერთი დღე ვჭამ, რაც მინდა, მერე მთელი კვირა ვიცავ დიეტას. მიყვარს ჯანსაღი კვება, მაგრამ ამის მოხერხება რთულია, როცა მთელი დღე სახლიდან გასული ხარ. ერთადერთი რამ, რაც ყველაზე ძალიან მეხმარება წონის დაკლებაში, არის ვარჯიში. ჩემი დღიური ნორმაა, ორმოცი წუთის განმავლობაში სირბილი. ვაკეთებ კუნთების ვარჯიშს. ფეხის კუნთები ძალიან ნავარჯიშები მაქვს. ბავშვობიდან მაქვს მუცლის პრობლემა და ხშირად ვაკეთებ პრესის ვარჯიშებს. რასაკვირველია, შემიძლია, ისეთი დიეტა დავიცვა, რომ სწრაფად დავიკლო წონაში, მაგრამ სწრაფად დაკლება არ მინდა, მერე სწრაფადვე ვიმატებ. ახლა ძალიან მინდა, დავიკლო კიდევ ხუთი კილო იმისთვის, რომ იდეალურ ფორმაში ჩავდგე.

სცენაზე როცა დგახარ, სასურველი უნდა იყო და ისე არ უნდა გასუქდე, რომ კაბა და მაკიაჟი აღარ მოგიხდეს. მაყურებელი რომ შეგხედავს, შენი მოსმენით ბედნიერი უნდა იყოს. მომღერლობა მაქვს გადაწყვეტილი და მომიწევს, მთელი ცხოვრება კვების რეჟიმის კონტროლი.

***reitingi.ge***

## გიორგი უშიკიშვილი: „დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას „ერისიონის“ ერთი კონცერტი დაამშვენებდა კრემლში“



რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებას „ფეისბუკის“ გვერდზე ეხმიანება ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი და „ფოლკ რადიოს“ მუსიკალური დირექტორი გიორგი უშიკიშვილი:

– დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას „ერისიონის“ ერთი კონცერტი დაამშვენებდა კრემლში. როგორც ჩანს, წინა კონცერტები საკმარისი არ აღმოჩნდა და კიდევ უნდა დავამატოთ, – წერს მუსიკოსი.

***newposts.ge***

## დავით ნარმანია მესამე შვილს ელოდება — „წინასაარჩევნოდ შევიტყვეთ, რომ შვილს ველოდით“



დედაქალაქის მერი მესამე შვილს ელოდება. ბავშვის სქესს წყვილი ჯერჯერობით ასაიდუმლოებს. დავით ნარმანიასა და თიკა თინიკაშვილს 5 წლის კოკო და წლისა და ორი თვის ილია დენისი ჰყავთ.

– მე მომწონდა სახელი დენისი, ბერძნული სახელია. დათოს ქართული სახელის დარქმევა უნდოდა, ამიტომ ორი სახელი დავარქვით ილია და დენისი. მაინც დენისს ვეძახით. დედობამ შემცვალა, საკუთარი თავისთვის ვერ ვიცლი. ჯერ შვილები ბოლომდე უზრუნველყოფილნი, მერე საკუთარი თავი. აღარც დრო მრჩება, აღარც ენერგია. დათო თბილი მამაა. კოკოსთან საკმაოდ დიდი დრო გაატარა. ახლა, რაც საჯარო მოხელეა, სახლში ვერ ვნახულობთ. პატარა მხოლოდ ტელევიზიით ხედავს მამას.

სქესს არ ვამხელთ, ჩვენ ვერ მოვითმინეთ და გავიგეთ. წინასაარჩევნოდ შევიტყვეთ, რომ შვილს ველოდით. ეს დამატებითი სტიმული იყო დათოსთვის. ძალიან გახარებულები ვიყავით. შეხვედრებზე რომ დავყვებოდი, უკვე ორსულად ვიყავი.

***primetimenews.ge***

## ნუნუკა თამაზაშვილი მიმართვას ავრცელებს



პრემიერი-მინისტრის მეუღლე ნუნუკა თამაზაშვილი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო კამპანიას უერთდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, თამაზაშვილი მიმართვას ავრცელებს.

– მინდა შევუერთდე ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო კამპანიას. გენდერული ნიშნით ძალადობა სერიოზული პრობლემაა მთელ მსოფლიოში, რაც ძალიან აზიანებს არა მხოლოდ ქალებს, არამედ მთელ საზოგადოებას. ამიტომ 25 ნოემბერი მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ამ პრობლემის წინააღმდეგ ყველანი გავერთიანდეთ. თითოეული მოქალაქის აქტიურობა მნიშვნელოვანია ქალთა ჩაგვრის დასაძლევად, რათა ჩვენ და ჩვენმა შვილებმა მშვიდ გარემოში და თავისუფალ საზოგადოებაში ვიცხოვროთ, – ნათქვამია მიმართვაში.

***newposts.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. საწვავი სითხე
2. „დეკამერონი" ავტორი
3. ქალ-ვაჟის ქართული ცეკვა
4. იაპონური თაიგული
5. რომენ როლანი. „... ბრუნიონი"
6. აეროდრომი ქუთაისთან
7. „კარმენი" კომპოზიტორი
8. ოთახის დგამი
9. მუსიკალური გასართობი ხმის აყოლებით
10. მყესი, დამოსცემს ხმას
11. ცხვრის ნაშიერი
12. მხატვარი ... მოდილიანი
13. თვითმფრინავების ასაფრენი მოედანი
14. მიწის სათხრელი იარაღი
15. ვიტამინების ნაკლებობა
16. ამერიკული მულტსერიალი
17. მსახიობი სიუზენ ...
18. ტყავი, დერმა
19. მუხის ნაყოფი
20. შანსონიე შარლ ...
21. დეტექტივი ერკიულ ...
22. მსუბუქი ვულკანური ქანი
23. ესპანელი დიდებული
24. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
25. ტაილანდის ძველი სახელწოდება
26. მომღერალი დაიანა ...
27. მსოფლმხედველობა
28. ზღვის წვრილი თევზი
29. ამერიკული კეტბურთი
30. მოკარნახე თეატრში
31. მხ/ფ „კინგ-კონგი" მაიმუნი
32. მულტფილმი „ბატი ..."
33. იაკობ გოგებაშვილის სოფელი
34. ჰემოგლობინის შემცველი სითხე
35. მხ/ფ „არ აეცდინო ..."
36. ფორტეპიანო, ანუ ...
37. მსახიობი ... გრიფიტი
38. ... ჰო, ... არა
39. ჟაკ-... კუსტო
40. მოკრივე ... ჰოლიფილდი
41. იალქანი
42. ყელის ტკივილი
43. ესპანური კინოაკადემიის ჯილდო
44. მწერალი ჰაინრიხ ...
45. „ბითლზი" ჯონ ...
46. ნადირობა აფრიკაში
47. მხატვარი ედგარ ...
48. მხატვარი კლოდ ...
49. ლუარსაბ და ... თათქარიძეები
50. მზის გამოსხივება, ანუ ...
51. ბასკური წინააღმდეგობის ორგანიზ.
52. მხ/ფ „... სრული სვლით"
53. ყინულის „მთა" ოკეანეში
54. თვალის ექიმი
55. რძის პროდუქტი
56. ქიაჩელი. „... ბიჭვა"
57. „სოლომონ ... მეჯღანუაშვილი"
58. მწერალი ჭაბუა ...
59. კოფეინიანი სასმელი
60. თევზი ელექტრული მუხტით
61. ნიგვზის საწებელი
62. სამშენებლო მასალა
63. ... ხაჩატურიანი
64. მოჭადრაკე გარი ...
65. რგოლებიანი პლანეტა
66. ერთგვარი ნოჭო
67. ... ლოლობრიჯიდა
68. მომღერალი ... გაგა
69. „ჩიო-ჩიო-სანი" მადამ ...
70. ქალაქი ინდოეთში
71. უსინათლოთა ანბანი
72. ფიქრები მომავალზე
73. ბოსტნეული
74. გადამეტებული სიმდიდ-რე
75. პოეტი მომღერალი აღმ. ქვეყნებში
76. გადაბრუნებული ასო დელტა
77. სრუტე. მდებარეობს სტამბოლი
78. რამაზ გიორგობიანი ფილმში
79. ჯუჯა ჟირაფი
80. მსახიობი ... კლუნი
81. დონ კიხოტი და სანჩო ...
82. შვიდი ნოტის თანმიმდევრობა
83. შოტლანდიური ნაგაზი
84. რეზინის ფეხსაცმელი
85. ორივე ყბა ერთად
86. რეჟისორი ... რიჩი
87. პარკოსანი მცენარე
88. ნიკო ლომოურის მოთხრობა
89. იაფფასიანი სამკაული
90. შიში, რომელიც ადამიანებს მითიური პანის დანახვისას ეუფლებოდათ
91. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა"
92. ერთგვარი კატერი
93. რეჟისორი უილიამ ...
94. „ბიძია თომას ქოხი". ავტორი ჰარიეტ ბიჩერ ...
95. ამსტერდამის საფეხბურთო კლუბი
96. ქიმიური ელემენტი
97. ოჯახი (ძვ.)
98. „ბითლზი" რინგო ...
99. მხ/ფ „ზოლიანი ..."
100. ცხარე სანელებელი
101. სიტყვაკოდი
102. თხელი ტალახი
103. ბიბლიური მთა
104. მამათა დიდი მონასტერი
105. პოლიტიკური გაერთიანება
106. მომღერალი ... დურგლიშვილი
107. მსახიობი ... რუსო
108. გულის მთავარი სისხლძარღვი
109. ვრცელი ველები არგენტინაში
110. მსახიობი ... ბერიმორი
111. ცისარტყელას ფერი
112. ძვ. ფრანგ. მონეტა
113. ჟელატინიანი კანფეტი
114. ზღვა მექსიკასთან
115. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი"
116. ქალაქი ბელგიაში
117. ასათქვეფი ხელსაწყო
118. მეფის ტიტული ძველ ეგვიპტეში
119. ხურდის შესაგროვებელი ნივთი
120. ექსპრეზიდენტი ჰარი ...
121. ვერცხლისწყალი, ანუ ...
122. ვიოლინოების იტალიელი ხელოსანი
123. ხილფაფა
124. ბრტყელი თევზი
125. სასვენი ნიშანი
126. მიმართვა გერმანელი ქალისადმი
127. ნეტარ ... მორწმუნენი
128. მზის ღმერთი რამონ-...
129. სისხლისმწოველი მწერი
130. კურორტი ბაღდათის რაიონში
131. მომღერალი ... პიეხა
132. ტროპიკული ბუში
133. ომში: ... და ნაღარა
134. უკრაინის პარლამენტი
135. მსახიობი ... წულაძე
136. კინორეჟისორი ... ჰოვარდი
137. მოჭარბებული პატივმოყვარეობა
138. ნიადაგის ჩამოშლა
139. ყველაზე მაღალი ბალახი
140. დოსტოევსკის რომანი
141. გამის ნოტი
142. ავადმყოფობის ისტორია
143. ძიძა
144. მსახიობი ... მარტინი
145. მომყოლი (ანატომ.)
146. მსახიობი ... ლონგორია
147. რკინის საგანი ცხენის ფლოქვზე
148. სათვალიანი გველი
149. ესკიმოსების ყინულის სახლი
150. უძველესი კოლხეთი



პასუხები: 1. ბენზინი; 2. ბოკაჩო; 3. დავლური; 4. იკებანა; 5. კოლა; 6. კოპიტნარი; 7. ბიზე; 8. სკამი; 9. კარაოკე; 10. იოგი; 11. ბატკანი; 12. ამედეო; 13. აეროდრომი; 14. ნიჩაბი; 15. ავიტამინოზი; 16. „სიმფსონები"; 17. სარანდონი; 18. კანი; 19. რკო; 20. აზნავური; 21. პუარო; 22. პემზა; 23. იდალგო; 24. ორანგუტანგი; 25. სიამი; 26. როსი; 27. კრედო; 28. ანჩოუსი; 29. ბეისბოლი; 30. სუფლიორი; 31. გორილა; 32. ტასიკო; 33. ვარიანი; 34. სისხლი; 35. ასუნტა; 36. პიანინო; 37. მელანი; 38. ან; 39. ივ; 40. ევანდერ; 41. აფრა; 42. ანგინა; 43. გოია; 44. მანი; 45. ლენონი; 46. საფარი; 47. დეგა; 48. მონე; 49. დარეჯან; 50. რადიაცია; 51. ეტა; 52. ორერა; 53. აისბერგი; 54. ოფთალმოლოგი; 55. არაჟანი; 56. გვადი; 57. ისაკიჩ; 58. ამირეჯიბი; 59. ჩაი; 60. სკატი; 61. ბაჟე; 62. გაჯი; 63. არამ; 64. კასპაროვი; 65. სატურნი; 66. ფუნაგორია; 67. ჯინა; 68. ლედი; 69. ბატერფლაი; 70. ბომბეი; 71. ბრაილი; 72. ოცნება; 73. კარტოფილი; 74. ფუფუნება; 75. აკინი; 76. ნაბლა; 77. ბოსფორი; 78. „სერენადა"; 79. ოკაპი; 80. ჯორჯ; 81. პანსა; 82. ოქტავა; 83. კოლი; 84. ბოტი; 85. კრიჭა; 86. გაი; 87. ლობიო; 88. „ქაჯანა"; 89. ბიჟუტერია; 90. პანიკა; 91. კილიმანჯაროს; 92. გლისერი; 93. უაილერი; 94. სტოუ; 95. „აიაქსი"; 96. ქრომი; 97. ჯალაბი; 98. სტარი; 99. რეისი; 100. პილპილი; 101. პაროლი; 102. ტლაპო; 103. არარატი; 104. ლავრა; 105. პარტია; 106. რატი; 107. რენე; 108. აორტა; 109. პამპასი; 110. დრიუ; 111. იისფერი; 112. ლივრი; 113. მარმელადი; 114. კარიბი; 115. პან; 116. იპრი; 117. მიქსერი; 118. ფარაონი; 119. ყულაბა; 120. ტრუმენი; 121. სინდიყი; 122. ამატი; 123. ჯემი; 124. კამბალა; 125. ტირე; 126. ფრაუ; 127. არიან; 128. რა; 129. მოსკიტი; 130. საირმე; 131. ედიტა; 132. ცეცე; 133. ბუკი; 134. რადა; 135. ბაადურ; 136. რონ; 137. ამბიცია; 138. ეროზია; 139. ბამბუკი; 140. „იდიოტი"; 141. სი; 142. ანკეტა; 143. გადია; 144. სტივ; 145. პლაცენტა; 146. ევა; 147. ნალი; 148. კობრა; 149. იგლუ; 150. აია. იკითხება: პროფესიონალები.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სულაკაური. „... თავგადასავალი"
2. დიეგო არმანდო ...
3. სურნელოვანი ზეთი
4. დონ კიხოტის ავტორი
5. ქალაქი ქვემო ქართლში
6. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი
7. რეჟისორი ანდრეი ...
8. მდინარე ინდოეთში
9. ათოსი, პორთოსი, ...
10. იტალიელი კომპოზიტორი
11. მსახიობი კარლო ...
12. საფრანგეთის საკურორტო სანაპირო
13. ტყის ფრინველი
14. მხ/ფ „ორი ბატონის ..."
15. მიშენება ოთახზე
16. კაცუნა ზურგზე პროპელერით
17. მევიოლინე ლიანა ...
18. მომღერალი ... ბაგრატიონი
19. უპატრონოდ დარჩენილი სამურაი
20. შინაური ცხოველი
21. მსახიობი ... ტაილერი
22. კომპოზიტორი გიორგი ...
23. ლეშის მჭამელი ფრინველი
24. პოეტი ... წერეთელი
25. მდინარეები ტიგროსი და ...
26. დაბა ბორჯომის რაიონში
27. ბრინჯაო
28. ფოლგა
29. „მაუგლი" პითონი
30. ჟურნალისტი შალვა ...
31. ბუდისტი მღვდელი
32. დიდი სანთელი
33. „დრაკულა" ავტორი
34. ბოსტნეული
35. სხივი. ჭრის ლითონს
36. ვერდის ოპერა
37. ავტოსაგზაო შემთხვევა
38. „კაცი რომელიც იცინის" პერსონაჟი
39. მდიდრული აგარაკი
40. ხის გრძელცხვირა ბიჭუნა
41. გრიპის გადამტანი
42. მომღერალი სოფია ...
43. ვაჟიშვილი
44. ძლიერი სიცხე
45. იალქანი
46. კერვისას თითის დამცავი
47. ცხენ-ირემი
48. ზღვაოსანი ... და გამა
49. ჯეიმს კამერონის ფილმი
50. ბიბლიური მოსეს ძმა
51. ნაკლი, ზადი
52. ინდური კაბა
53. რაჯ კაპურის ფილმში
54. ისტორიული მხარე ტაო-...
55. ადამიანის ბიოველი
56. ტელეკოშკი
57. ფედერიკო ფელინის ფილმი
58. უკრაინული ავტომობილი
59. ჯამის ფორმის სასმისი
60. ნადუღის სანელებელი
61. ირანში: ... ჰომეინი
62. წლოვანება
63. შტატი აშშ-ში
64. „მე ... ქართველი ვარ"
65. მსახ. ... ბანდერასი
66. მომღერალი ... გოგუაძე
67. წინ წასული ... უკან ჩამორჩაო
68. მდინარე ციმბირში
69. კომპოზიტორი ანდრია ...
70. მეცნიერი ... ვეკუა
71. გრძელი კბილი
72. ებრაული სალოცავი ტაძარი
73. რეჟისორი კლოდ ...
74. ქალაქი ინდოეთში
75. ბარდი ვლადიმერ ...
76. მეკარე ვიქტორ ...
77. ძროხის ნაშიერი
78. იაპონური თეატრი
79. მწვანე მინერალი
80. იაპონური არაყი
81. იმრე კალმანის ოპერეტა
82. ინდონეზიის კუნძული
83. კაპიტან ნემოს გემი
84. ნასესხები ფული
85. სოფელი ახმეტის რაიონში
86. ოცკაპიკიანი ძველად
87. მოდელი ... კასტა
88. სპორტის სახეობა
89. ეპილეფსია, ანუ ...
90. ღვინო, ..., ქალები
91. ქალაქი მაროკოში
92. მე-19 საუკუნის ფრანგი პოლიტიკოსი შარლ მორის დე ...
93. რეჟისორი ... კუროსავა
94. მინერალ. წყალი
95. ტარზანის მაიმუნი
96. უკვდავსაყოფად აგებული ნაგებობა
97. მისი დედაქალაქია ოსლო
98. ფიგურული ქსოვის ტექნიკა
99. კომპოზიტორი ... ხრენნიკოვი
100. კომპოზიტორი ... მორიკონე
101. მევიოლინე ვანესა ...
102. შტატი აშშ-ში
103. ფარული დაცინვა
104. კომედიური სცენა ფილმში
105. ლენონის ქვრივი
106. მომღერალი ... ჯონი
107. ალკოჰოლური სასმელი
108. მარკიზი, რომლის სახელიდანაც წარმოიშვა ტერმინი სადიზმი
109. სრუტე ხმელთაშუა ზღვაზე
110. ძვ. თბილისური მიმართვა
111. წყლის გრაციოზული ფრინველი
112. შუადღის პურის ჭამა
113. მოკარნახე თეატრში
114. ბრედ პიტის ფილმში
115. კომპოზიტორი ... კალმანი
116. შხამიანი გველი
117. „... ჭკუისაგან"
118. პატარა ტანის ძაღლი
119. რეჟისორი ... პარკერი
120. ბოსტნეული
121. ამოსახველებელი ნაყენი
122. სახლის გადასახურავი ბალახი
123. მდინარე კახეთში
124. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
125. ლუდის მასალა
126. მსახიობი არკადი ...
127. მსახიობი ... ჰაიეკი
128. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
129. ტბა დუშეთის რაიონში
130. დღე ხვალის შემდეგ
131. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
132. ვირას საპირისპირო ბრძანება
133. ჩეხეთის დედაქალაქი
134. ... ჰო, ... არა
135. ნიშნავს ახალს
136. ქალაქი დას. საქართ.
137. შვარცენეგერი რვის ...
138. სამიანი ნარდში
139. კავშირი, გაერთიანება
140. საბჭოთა თვითმფრ. მარკა
141. მოსამართლის მოსასხამი
142. ექსპრეზიდენტი ფრანსუა ...
143. ... კუზანოვი
144. მსახიობი ... დელონი
145. ხილი
146. მეთიუ ბროდერიკის ფილმში

პასუხები: 1. სალამურას; 2. მარადონა; 3. მირონი; 4. სერვანტესი; 5. რუსთავი; 6. ანხელი; 7. ტარკოვსკი; 8. ინდი; 9. არამისი; 10. დონიცეტი; 11. საკანდელიძე; 12. რივიერა; 13. კოდალა; 14. მსახური; 15. ერკერი; 16. კარლსონი; 17. ისაკაძე; 18. ლიზა; 19. რონინი; 20. ცხენი; 21. ლივ; 22. სვირიდოვი; 23. სვავი; 24. აკაკი; 25. ევფრატი; 26. ბაკურიანი; 27. რვალი; 28. კილიტა; 29. კაა; 30. რამიშვილი; 31. ლამა; 32. კელაპტარი; 33. სტოკერი; 34. კიტრი; 35. ლაზერი; 36. „ტრავიატა"; 37. ავარია; 38. დეა; 39. ვილა; 40. ბურატინო; 41. ვირუსი; 42. როტარუ; 43. ძე; 44. ხვატი; 45. ხინჯი; 46. სათითე; 47. ლოსი; 48. ვასკო; 49. „ავატარი"; 50. აარონი; 51. ხინჯი; 52. სარი; 53. „ავარა"; 54. კლარჯეთი; 55. აურა; 56. ანძა; 57. „რვანახევარი"; 58. „ტავრია"; 59. ფიალა; 60. პიტნა; 61. აიათოლა; 62. ასაკი; 63. ნევადა; 64. პატარა; 65. ანტონიო; 66. თამთა; 67. თხაო; 68. ობი; 69. ბალანჩივაძე; 70. ილია; 71. ეშვი; 72. სინაგოგა; 73. ლელუში; 74. კალკუტა; 75. ვისოცკი; 76. ვალდესი; 77. ხბო; 78. კაბუკი; 79. ზურმუხტი; 80. საკე; 81. „სილვა"; 82. იავა; 83. „ნაუტილუსი"; 84. ვალი; 85. ალვანი; 86. აბაზი; 87. ლეტიცია; 88. რაგბი; 89. ბნედა; 90. დუდუკი; 91. კასაბლანკა; 92. ტალეირანი; 93. აკირა; 94. „ძაუ"; 95. ჩიტა; 96. მემორიალი; 97. ნორვეგია; 98. მაკრამე; 99. ტიხონ; 100. ენიო; 101. მეი; 102. იუტა; 103. ირონია; 104. გეგი; 105. ონო; 106. ელტონ; 107. ვისკი; 108. სადი; 109. გიბრალტარი; 110. ტო; 111. გედი; 112. სადილი; 113. სუფლიორი; 114. „ტროა"; 115. იმრე; 116. ეფა; 117. ვაი; 118. ფინია; 119. ალან; 120. თალგამი; 121. ალთე; 122. ისლი; 123. იორი; 124. პიანო; 125. ალაო; 126. რაიკინი; 127. სალმა; 128. „მატრიცა"; 129. ბაზალეთი; 130. ზეგ; 131. იელი; 132. მაინა; 133. პრაღა; 134. ან; 135. ნეო; 136. ვანი; 137. არნი; 138. სე; 139. ლიგა; 140. „ილ"; 141. მანტია; 142. მიტერანი; 143. ივა; 144. ალენ; 145. ატამი; 146. „გოძილა". იკითხება: მადონა.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## შუა საუკუნის ევროპაში მიიჩნეოდა, რომ ქალი დაფეხმძიმებას ვერ შეძლებდა... ორგაზმის გარეშე



იმაზე ცუდი, ალბათ, არაფერია, როცა ადამიანმა თავისი რომ არ იცის და სხვასაც რომ არ უგდებს ყურს. ამის გამო ძალიან ბევრს პრობლემები შექმნია, უტირია, უნერვიულია და გაუბედურებულა კიდეც.

სხვადასხვა საკითხზე შავ-ბნელი შეხედულების ქონას თუნდაც შუა საუკუნეების ევროპაში უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს და ეს ყველასთვის ცნობილია. რაც შეეხება ნაკლებად ნაცნობ ფაქტს, თურმე, თუკი გაუპატიურების შემდეგ ქალი ფეხმძიმდებოდა, სასამართლო ამბობდა, რომ მან ორგაზმი განიცადა და აბა, რაღას ჩივის, ძალა იხმარესო?! მართლაც, რთულად თუ დაარქმევ ძალადობას ისეთ პროცესს, რომელიც მსხვერპლს სიამოვნებას მიანიჭებდა.

მიხვდით, ალბათ – მაშინდელ ევროპელებს რატომღაც ეგონათ, რომ ქალი დაფეხმძიმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუკი სექსის დროს ორგაზმს განიცდიდა. ჰოდა, ამის და არა მხოლოდ ამის გამო, ძალიან ბევრი ქალი მოძალადეს საკადრის პასუხს ველარ სცემდა.

***21.by***

## გულის შეტევის შემდეგ, ნიორი დაგეხმარებათ



მართალია, ერთ-ერთი ყველაზე უხერხული საჭმელია ნიორი, მაგრამ იმდენი სასარგებლო თვისებით გამოირჩევა, სპეციალისტები მის შესახებ ახალ-ახალ აღმოჩენებს ლამის ყოველთვიურად აკეთებენ.

ნივრის სხვა სასარგებლო თვისებებზე ჩვენც ბევრჯერ გვაქვს მოყოლილი, მორიგი სიახლე კი იმას გულისხმობს, რომ მას შეუძლია ისეთი ნივთიერებების გამომუშავება, რომლებიც ინფარქტგადატანილი ადამიანისთვის ჰაერივით საჭიროა.



გარდა ამისა, ნიორი რეკომენდებულია იმ ადამიანებისთვისაც, ვინც გულის უკმარისობას განიცდის ან ოპერაცია აქვს გადატანილი.

კანადელი კარდიოლოგების ინფორმაციით, ნიორი თავის სასარგებლო თვისებებს ტრისულფიდის დიალილს უნდა უმადლოდეს, ნივთიერებას, რომელიც გულს გოგირდწყალბადით ამარაგებს.

მღრღნელებზე ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ ნიორი გულის ქსოვილების დაზიანებას მთელი 61 პროცენტით იცავს.

***myjane.ru***

## მეცნიერებმა რობოტებს ერთმანეთის მოტყუება ასწავლეს



ჰო, ადამიანს ხომ ხატავს და ალამაზებს აფერისტობა და ახლა რობოტებსაც ასწავლეს მამაძაღლობები ჯორჯიას შტატის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებმა.

საუბარია ე.წ. ცრუ ქცევებზე, რომლებიც დაფუძნებულია ყურადღების გაფანტვის მეთოდებზე.

უნდა ითქვას, რომ სიცრუის ხელოვნება უკვე დიდი ხანია, რაც განიხილება, როგორც საომარი ტაქტიკა, განსაკუთრებით ბრძოლის ველზე. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი რობოტი იძენს სამხედრო დანიშნულებას, რაც თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგისთვის ყურადღების გაფანტვა მათაც უნდა შეეძლოთ.

პროფესორი რონალდ არკინი განმარტავს, რომ რობოტებისთვის შერჩეული სიცრუის მეთოდი, კოლეგებთან ერთად, ციყვებისგან ისესხა.

მისი განმარტებით, ციყვები დიდი წარმატებით ახერხებენ თავიანთი მარაგის დაცვას მტრებისგან. საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში, ისინი ისე იქცევიან, თითქოს მარაგები სხვა ადგილას აქვთ დამალული და საკვების შენახვის რეალური ადგილიდან თავდამსხმელს ოსტატურად იტყუებენ. მათი ქცევების მოდელირების გამოყენებით, ამერიკელ სპეციალისტებს სურთ, რობოტებმა იარაღის საწყობების ან სხვა საჭირო ნივთების დაცვა შეძლონ. კერძოდ, მტრის აღმოჩენის შემთხვევაში, რობოტი პატრულირების სტრატეგიას შეიცვლის, რაც ადამიანს ან სხვა ინტელექტუალურ მანქანას შეცდომაში შეიყვანს და დამხმარე რაზმის გამოჩენამდე დროს გაწელავს.

***itword.org***

## ქალის მკერდის მიმართ მამაკაცის განსაკუთრებული ინტერესი ძუძუთი კვებიდან გამომდინარეობსო



ჰო, ბავშვობაში რომ დაგაკლდება ძუძუ, ზრდასრულ ასაკში სულ ამ დანაკლისის შევსებას ცდილობ... სიმართლე გითხრათ, ეს მხოლოდ ხუმრობა გვეგონა, თუმცა ვაღიარებთ – ვცდებოდით!..

ალბათ, ერთხელ მაინც შესწრებიხართ სიტუაციას, როცა მამაკაცი, თითქოს დაჰიპნოზებულიაო, ქალის მკერდს მისჩერებია და თვალს არ აშორებს. ამასთანავე, ყველაზე გაწონასწორებულ მამაკაცსაც კი ქალთან საუბრისას თვალები მისი მკერდისკენ გაურბის.

თვალი ოხერიაო, ასეც იტყვიან ხოლმე, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე.

ორმა ამერიკელმა მკვლევარმა ლარი იანგმა და ბრეინ ალექსანდრმა ამ მოვლენაში გარკვევა მოინდომა და საინტერესო შედეგსაც მიაგნო.

კვლევის ავტორები ამტკიცებენ, რომ ნამდვილი მიზეზი იმისა, რატომ ხდება ჰეტეროსექსუალი მამაკაცი ქალის მკერდის, უკაცრავად და, მონა, ჰორმონი ოქსიტოცინია.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ახლად დაბადებული ბავშვი დედის მკერდის სტიმულირებას ახდენს, რაც ოქსიტოცინს ათავისუფლებს. ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ მკერდში კუნთების მოდუნება და რძის გამოყოფა ხდება. მაგრამ ოქსიტოცინს სხვა როლიც აქვს: ის დედას ბავშვის მიმართ ყურადღების გამოჩენას აიძულებს. ამასთანავე, ბავშვის სახე, სუნი და ხმა დედის ტვინში მჭიდროდ აღიბეჭდება და მათ შორის მტკიცე კავშირი მყარდება.

ჰოდა, როგორც მკვლევარები განმარტავენ, როცა მამაკაცი ქალის მკერდს ეფერება, ამით ტვინში ზუსტად იგივე პროცესები ჩნდება, როგორიც ძუძუთი კვებას მოსდევს ხოლმე. სხვანაირად რომ ვთქვათ, მამაკაცის სიყვარული ქალის მკერდის მიმართ – ეს არის შეუცნობელი ევოლუციური გულის წადილი, რომელიც ადამიანებს მტკიცე კავშირის დამყარებაში ეხმარება.

***factroom.ru***

## არომათერაპია, რომელიც საათზე მეტხანს გრძელდება, გულს აზიანებს



ტაივანელმა სპეციალისტებმა ცნობილი სიბრძნე დაადასტურეს: ყველაფერი დადებითია მხოლოდ ზომიერების ფარგლებში. მათი თქმით, არომათერაპია სასარგებლოა გულისთვის, თუკი ეთერზეთების ორთქლს ადამიანი მაქსიმუმ 1 საათის მანძილზე ისუნთქავს. ის, ვინც ამ წესს დაარღვევს, სამწუხაროდ, გულს დაიზიანებს.

მეცნიერებმა 100 მოხალისეს მდგომარეობა შეისწავლეს, რომლებიც ექსპერიმენტის ხათრით, არომათერაპიას 2 საათის მანძილზე იტარებდნენ. მთელი პროცედურის მანძილზე მედიკოსები მათ არტერიულ წნევას და გულის შეკუმშვის სიხშირეს აკვირდებოდნენ. ასევე ფიქსირდებოდა შენობაში მფრინავი ორგანული ნაერთების დონე.

პირველი საათის განმავლობაში როგორც წნევა, ისე გულისცემის სიხშირე, შემცირდა. 120 წუთის გასვლის შემდეგ კი საწინააღმდეგო ეფექტი გაჩნდა – წნევამ მკვეთრად მოიმატა, გახშირდა გულის შეკუმშვის სიხშირეც.

ეს ყველაფერი იმის დამამტკიცებელია, რომ მიუხედავად არომათერაპიის ძალიან ბევრი სასარგებლო შედეგისა, გადამეტება გულს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. ჰოდა, ყურადღებით იყავით!..

***novoteka.ru***

## კარიესისგან... მზე გადაგვარჩენს?



ოჰ, კაი დროს მოგვაწოდეს ეს ინფორმაცია მეცნიერებმა! აბა, ზამთარი კარს მოგვადგა და სად ვეძებოთ მზე? თუმცა ეგ არაფერი, უკან მოხედვასაც ვერ მოვასწრებთ, ისე დადგება ნანატრი ზაფხულიც.

იმისთვის, რათა ბავშვები კარიესისგან დავიცვათ, ვაშინგტონის უნივერსიტეტის სპეციალისტები გვირჩევენ, ხშირად ვასეირნოთ ისინი მზეზე. მათი განმარტებით, დე ვიტამინი კარიესის გაჩენის რისკს მთელი 50 პროცენტით ამცირებს.

უკვე ძალიან ბევრჯერ დამტკიცდა, რომ დე ვიტამინი ძვლების გამაგრებაში გვეხმარება, თუმცა კარიესთან დაკავშირებით სპეციალისტთა მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ბოლოს და ბოლოს, ამერიკაში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, შვედეთსა და ახალ ზელანდიაში ჩატარებულმა კლინიკურმა კვლევებმა საკითხს ნათელი მოჰფინა.

– დე ვიტამინი კბილების მინერალიზაციას აუმჯობესებს და ბავშვებს აღნიშნული ვიტამინის დანაკლისით, კარიესი ბევრად ხშირად უჩნდებათ, – ასეთია საბოლოო დასკვნა.

***myjane.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– შვილის სახელმძღვანელოში ასეთი ამოცანა ვნახე: „ზაზას 27 სმ აქვს, ლევანს – 4 სმ-ით მოკლე, ვიდრე ზაზას, თინიკოს კი 6 სმ-ით გრძელი, ვიდრე ლევანს..." ვზივარ და ვფიქრობ, ბიჭებს მშვენივრად აქვთ საქმე, განსაკუთრებით – ზაზას... მაგრამ თინიკოს რა სჭირს?!.

*****

– ალო, თინიკო ხარ? იცი, რა მინდა გითხრა? მოკლედ, სახლი ავაშენე, ხეც დავრგე...

– მოდი...

*****

ყველა კაცს ჰყავს ძმაკაცი, რომელიც:

1) უაზროდ ჭამს, მაგრამ მაინც არ სუქდება;

2) სულ ლოთობს;

3) გაუთავებლად დედას იგინება;

4) დებილივით იცინის...

*****

ორი მეზობელი თავიანთი ძაღლების შესაძლებლობებზე ტრაბახობს:

– ჩემი ძაღლი ისეთი ჭკვიანია, როცა სახლში მოდის, ზარს რეკავს ხოლმე!

– ჩემი კი არ რეკავს!

– რატომ, ვერ წვდება?

– გასაღები აქვს!

*****

ზაფხული, სოფელი, ტუალეტი კარის გარეშე. ზის მამაკაცი და იჭინთება. გვერდზე მეზობლის ქალმა გაიარა.

– უი, შე სასიკვდილე, კარი მაინც ჩამოკიდე მაგ ტუალეტზე!

– კარი? რა ჩემ ფეხებად მინდა, რა უნდა მომპარონ?!

*****



პოლიციელები თავიანთ კვადრატში მორიგეობენ. ერთ ადგილას შეამჩნიეს – ხეზე მამაკაცია ჩამომხრჩვალი. იფიქრეს, რად გვინდა ზედმეტი პრობლემაო და გვამი ჩამოკიდეს ხეზე, რომელიც სხვა რაიონის ტერიტორიაზე იდგა...

იქაც ორი პოლიციელი მორიგეობს. ერთ-ერთმა უცბად წამოიყვირა:

– შეხედე, ისევ აქ კიდია!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მორის ფოცხიშვილის ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**როზიტა ვერბი-ფოცხიშვილი**

**პანაშვიდი:** ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, 17 საათზე;
**მისამართი:** თბილისი, ლარსის ქ. №1, მე-2 სადარბაზო, მე-4 სართული;
**დაკრძალვა:** დედათა მონასტერი, 15 საათი;
**მისამართი:** მცხეთა, სამთავროს 27.
გადასვენება თბილისიდან მცხეთაში 27 ნოემბერს ლარსის ქუჩიდან 10 სთ-ზე.
ავტობუსი გავა მცხეთაში ლარსის ქუჩიდან 27 ნოემბერს, 13 საათზე.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## სარდინის, ქაშაყისა და შპროტის ქერცლი ოპტიკის კანონებს არღვევს



ბუნება სავსეა მოულოდნელობებით და უჩვეულო სიურპრიზებით და, ამ მხრივ, აღმოჩენებს დასასრული არ უჩანს.

ევროპული სარდინის, ატლანტიკის ქაშაყისა და შპროტის ქერცლი ისეა მოწყობილი, რომ ოპტიკის კლასიკურ კანონებს არღვევს, რითიც თევზებს საშუალება ეძლევათ, მიაღწიონ არეკვლის მაქსიმალურ შესაძლებლობებს და მტაცებლებისთვის უხილავები გახდნენ ყველა კუთხიდან. კვლევის ავტორები თევზების ქერცლით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც შენიშნეს, რომ ისინი სინათლეს ისე ირეკლავენ, რომ არ ახდენენ მის პოლარიზებას სხივის დაცემის კუთხისა და ანარეკლის მიუხედავად. ასეთი მოვლენა უსაზღვროდ უჩვეულოა კლასიკური ოპტიკის თვალსაზრისით - რაც უფრო მეტია დაცემის კუთხე, მით ძლიერ უნდა იყოს სინათლე პოლარიზებული.

აღმოჩნდა, რომ ნახსენები თევზების ქერცლი მკვეთრად გამოკვეთილი ოპტიკური თვისებების მქონე ორი ტიპის კრისტალისგან შედგება. მეცნიერების თქმით, კრისტალების ორივე ტიპი, თავის მხრივ, ორი ბიომინერალისგან შედგება – გუანინისგან და ჰიპოქსანტინისგან. ამ ნივთიერებების კომბინაცია მათ განსაკუთრებულ ოპტიკურ გარემოდ გარდაქმნის, სადაც სინათლის სხივი ორ განსხვავებულ კომპონენტად იყოფა და სინათლის გარდატეხის კლასიკურ კანონებს არღვევს.

ასეთი კრისტალების კომბინაცია გარდატეხის განსხვავებული კოეფიციენტებით, თევზს, პრაქტიკულად, იდეალურ „სარკედ“ აქცევს, რომელიც სინათლის სხივების პოლარიზებას აღარ ახდენს. ამდენად, ამგვარი ოპტიკური „ჯავშანი“ თევზებს საშუალებას აძლევს, მტაცებლები ფრინველებისთვის და ზღვის ბინადრებისთვის, ფაქტობრივად, შეუმჩნეველნი დარჩნენ.

*ria.ru*

## რეკლამა ადამიანის ქვეცნობიერებას კლავს?



სამსახურიდან გადაღლილ-გადამწვარი ბრუნდებით სახლში და სავარძელში ღონემიხდილი ეშვებით? იცით, შესაძლოა, ამაში დამნაშავე სულაც არ იყოს თქვენი დაძაბული გრაფიკი?! ჩვენი ტვინი ხომ შეუგნებლად ამუშავებს ნებისმიერ დაწერილ ტექსტსა და არითმეტიკულ ოპერაციას, რომელიც მხედველობის არეში მოხვდება. თუკი გავიხსენებთ, რომ მთელი ქალაქი სარეკლამო ბილბორდებითაა აჭრელებული, წარწერებით, ფასებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი გადატვირთულია ქვეცნობიერი.

– ადამიანს შეუძლია შეასრულოს არითმეტიკული ოპერაციები და გააანალიზოს ენობრივი კონსტრუქციები ისე, რომ არც კი ფიქრობდეს, რას აკეთებს, ანუ ქვეცნობიერად, – ამბობენ იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის სპეციალისტები.

ექსპერიმენტებისას მოხალისეებს შესთავაზეს, მხედველობა „გაეორებინათ“. ანუ მარცხენა თვალით არითმეტიკული ჯაჭვისთვის შეეხედათ, მარჯვენათი კი - ფერადი გეომეტრიული ფიგურებისთვის. მკვლევართა თქმით, ასეთი პროცედურა დავალებაზე კონცენტრირების საშუალებას არ იძლევა და ამდენად, მოხალისეები ნორმალურად ვერც კი ხვდებოდნენ, რას უცქერდნენ. შემდეგ რესპონდენტებს აჩვენეს რიცხვები, რომლებსაც უკვე ორივე თვალით უყურებდნენ და მათი ხმამაღლა დასახელება სთხოვეს. ის რიცხვები, რომლებსაც მანამდე მოხალისეები მხოლოდ ცალი თვალით ხედავდნენ, გაცილებით სწრაფად იქნა ჩამოთვლილი, თითქოს, ტვინი მათ უკვე „იცნობდა“. იმის გამო, რომ მოხალისეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, არითმეტიკული ოპერაციები გონებით შეესრულებინათ, დაასკვნეს, რომ ტვინმა ეს უკვე ქვეცნობიერად გააკეთა. ანალოგიური შედეგი იქნა მიღებული ტექსტის წაკითხვის დროსაც.

ეს ყველაფერი კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანების ქვეცნობიერი, განსაკუთრებით მათი, ვინც მეგაპოლისებში ცხოვრობს, მუდმივად დაძაბულია, რასაც დადებითი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს.

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

*golosscience.com*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**26 ნოემბერი:** არამყარი მდგომარეობა გაქვთ, შეიძლება ტვირთის რაღაცა ნაწილისგან მოგიწიოთ განთავისუფლება, რომ დანარჩენის ზიდვა შეძლოთ.

**კურო 22.04-21.05**
**26 ნოემბერი:** თუ ცხოვრებაში რაღაცის შეცვლას აპირებთ, კარგად დაფიქრდით, სანაცვლოდ რას მიიღებთ. შეიძლება თქვენი დღევანდელი მდგომარეობა უკეთესიც არის.

**ტყუპები 22.05-21.06**
**26 ნოემბერი:** თუ რაღაცის გაკეთება გინდათ ისე, როგორც საჭიროდ თვლით და არა ისე, როგორც გასწავლეს, შეწინააღმდეგება მოგიწევთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**26 ნოემბერი:** დღეს ძალიან ფრთხილად იყავით გამოთქმებში, შეიძლება რაღაც საიდუმლო წამოგცდეთ, ან ისეთი რამ თქვათ, რასაც თქვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ.

**ლომი 23.07-22.08**
**26 ნოემბერი:** თქვენთვის მოულოდნელად თავგადასავლების ძიება შეიძლება დაიწყოთ. წინდახედულად მოიქეცით, შარში არ გაეხვიოთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**26 ნოემბერი:** თქვენთვის საინტერესო ადამიანთან დაახლოებაში შეიძლება თქვენი ჰობი გამოგადგეთ. ან გაარკვიეთ, რითია დაინტერესებული და სათანადოდ იმოქმედეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**26 ნოემბერი:** ტრიუმფატორი გახდებით თუ შეცდომებს დაუშვებთ, მნიშვნელობა არ აქვს, ამ დღის შედეგები დიდხანს იქონიებს გავლენას თქვენს ცხოვრებაზე.

**მორიელი 23.10-21.11**
**26 ნოემბერი:** სხვადასხვა სახის საიდუმლოებების მიმართ ძალიან მგრძნობიარე იქნებით. ძალიან ფრთხილად იყავით და არანაირ ავანტიურაში არ ჩაერიოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**26 ნოემბერი:** წინა პლანზე ფინანსური პრობლემები წამოიწევს, რაც, პრინციპში, სიახლეს არ წარმოადგენს, ამას დიდი ხანია მიეჩვიეთ, მაგრამ შეიძლება გაგაღიზიანოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**26 ნოემბერი:** შეიძლება საკუთარ აზრებში გარკვევა მოგინდეთ და საკუთარ თავს ბევრ რამეზე უსაყვედუროთ. ეს ზოგჯერ სასარგებლოა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის.

**მერწყული 20.01-18.02**
**26 ნოემბერი:** გამოთქმებში აკურატულობა გმართებთ, შეიძლება შემთხვევით დაარღვიოთ ის წონასწორობა, რომელიც თავადვე შექმენით. სხვების აზრს პატივი ეცით.

**თევზები 19.02-20.03**
**26 ნოემბერი:** სატელეფონო საუბრები და მიმოწერა მინიმუმამდე შეამცირეთ. აუცილებლად თვალებში უნდა ჩახედოთ ადამიანს, რომელთანაც საუბარს აპირებთ.

## მობილური ტელეფონების გამოყენება გადამდებია, როგორც მთქნარება



ზოგიერთი ქალი იტყვის ხოლმე: „თავი გაგიხმა, მთქნარება მეც გადამდეო...“ არა, თავის გახმობა რა შუაშია, რა, ძალით დაამთქნარა იმან, ვინც დაამთქნარა?! ოხ, ეს ქალები, რა?! მოკლედ, გეცოდინებათ, რომ მთქნარება მართლაც გადამდებია და თურმე, ასევე, ყოფილა მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში: საკმარისია, კომპანიაში ერთმა ადამიანმა ამოიღოს ჯიბიდან მობილური და მასში ძრომიალი დაიწყოს, რომ გარშემომყოფებიც მაშინვე ხელში ტელეფონს იმარჯვებენ. ხუთი წუთიც არ გადის და მთელი კომპანია ზის და მობილურ ტელეფონს ჩაჰკირკიტებს. ახალ კვლევაშიც სწორედ ამაზეა ლაპარაკი: ტელეფონი გადამდებია ისევე, როგორც მთქნარება.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარები სტუდენტური ქალაქის სასადილოებსა და კაფეებში ახალგაზრდებს 4 თვის მანძილზე აკვირდებოდნენ. ჰოდა, დადგინდა: 10 წამის მანძილზე, რაც თქვენი ნაცნობი ხელში მობილურს დაიჭერს, შანსი იმისა, რომ თავადაც ანალოგიურად მოიქცევით, 39,5 პროცენტია.

– მობილურის გადამდებობა სხვა არაფერია, თუ არა სოციალური გაუცხოების შედეგი, რომელიც იმ მომენტში ჩნდება, როცა თქვენთან ურთიერთობისას თანამოსაუბრეს ყურადღება სხვა რაღაცაზე გადააქვს. თქვენც აღარაფერი გრჩებათ, გარდა იმისა, რომ მოახდინოთ დემონსტრირება - მარტო არც მე ვარო, – განმარტავენ ექსპერიმენტის ავტორები. მათივე თქმით, ასეთი ქცევა, ჩვეულებრივ, ახალგაზრდებისთვისაა დამახასიათებელი.

*mainfun.ru*

## თითოეულ შვეიცარიელს უფლება აქვს, კანაფის 4 ბუჩქი გაახაროს



ასეთი არცთუ ადვილად გადასადგმელი ნაბიჯით, შვეიცარიის ხელისუფლება ცდილობს, მარიხუანას არალეგალურ მოყვანა-გაყიდვას შეებრძოლოს. ლოგიკა ისაა, რომ, თუკი ადამიანს მარიხუანას მოხმარება სურს და უყვარს, მოსაწევს ნებისმიერ შემთხვევაში იშოვის. ამდენად, ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სჯობს, მცენარე თავადვე გაზარდოს, ვიდრე ფულის გადახდით ნარკობიზნესი გააძლიეროს.

საინტერესო ნიუანსი: იმდენად, რამდენადაც შვეიცარიის ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, ქოთანში კანაფის 4 ბუჩქი გაახაროს, თუკი ოჯახში 4 ადამიანი ცხოვრობს, მათ შეუძლიათ, ერთბაშად 16 ბუჩქზე იზრუნონ. ეს უკვე კარგი გემრიელი პლანტაციაა, თუმცა სრულიად კანონიერი...

*facte.ru*

მოამზადა მიხეილ სახვაძემ



სამი მამაკაცი ახალგაზრდობას იხსენებს. მიადგნენ თემას, ვის რა საშინელი ხმა გაუგია ცხოვრებაში.

– ყველაზე საშინელი თევზაობისას გავიგე – ზამთარში გაყინულ ტბაზე ვთევზაობდი და მომესმა, როგორ დაიწყო ყინულმა გაბზარვა. ამაზე საშინელი არაფერი გამიგია!

– ჩემთვის ყველაზე საშინელი ხმა იყო, როცა მაღაროში მუშაობისას კედლების დაბზარვას მოვკარი ყური.

– მე კი – როცა ქალთან ერთად საწოლში ვიწექი და უცბად მისი ქმარი მოვიდა. გიჟივით წამოვხტი და ფანჯარას ვეცი...

– მოიცა, კაცო, სად არის აქ ხმა?

– მაცადეთ, რა! სანამ ფანჯრიდან გადავხტი, ხელი „იმაში“ ჩამავლო... ჰოდა, ყველაზე საშინელი ხმა მაშინ გავიგე, როცა კბილებით ჯაყვა დანის გახსნას ცდილობდა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
**გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი:** თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაძბაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.25